

თბილისის სასულიერო აკადემია

წმ. კლიმენტი რომაელი

კორინთელთა მიმართ
პირველი ეპისტოლე

ცესცი ძეგლი ჰერძენულიდან თარგმნა. ქსეჯალი და
კომენტარები დაუბოთა პროფესორისთვის ვიოლეტი ზვიადაძემ


ბაზომცემლობა „მერიდიანი“

თბილისი 2016

რედაქტორი ედიშერ ჭველიძე

ქოჩუკი ვალაძეძაყუჭული ეპოსემა

რეცენზირებულია საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური
მართლმადიდებელი ეკლესიის გამომცემლობისა და
რეცენზირების დეპარტამენტის მიერ და
ნებადართულია გამოსაცემად!

	სსამმბრდ	ს რ №
	23.03.15	575

დეპარტამენტის თავმჯდომარე

+ ხაგიბოვა

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი

© პროტოპრესვიტერი გიორგი ზვიადაძე

ISBN ??????????????



wm. kl imenti romael i

ვითარმცა ვინ უძლო დაპყრობად წარმავალთა ამათ და დაუდგრომელთა, ვინამთგან უკუე ერთი ზოლო არს სამარადისოდ ერთსა ზედა მდგომარე უზილავი იგი და უნივთოჲ ბუნებაჲ, ზოლო ნივთი წარვალს ცვალებითა რაჲთმე და დინებითა მარადის შეცვალებული.

და ესე უცილობელ არს, რამეთუ რომელი მტკიცესა განეშოროს, იგი დაუდგრომელისადა შეყოფილ არს უეჭუელად და მის თანა დის და იქცევის. და რომელი წარმავალსა ამას სდევედეს და წარუვალი იგი დაუტევოს, უეჭუელად ორთაგანვე გამოეკუების, ერთსა მას – დატევებითა და მეორესა, რამეთუ დამჭირვაჲ შეუძლებელ არს.

წმ. გრიგოლ ნოსელი, თარგმანებაჲ „ქებისა ქებათაჲსაჲ“
(წმ. გიორგი მთაწმინდელის თარგმანი, A-55, 85rb-va)

წმინდა კლიმენტი რომაელის უმსახეობა

რომის ეპისკოპოსთა უძველესი სია, რომელიც დაცულია წმინდა ირინეოს ლიონელთან,¹ კლიმენტი რომაელს წარმოგვიდგენს რომის მესამე ეპისკოპოსად.²

ისტორიკოსი ევსები კესარიელი (იხ. მისი შრომა „საეკლესიო ისტორია“, 3.15.34) ასევე მასამე ეპისკოპოსად ასახელებს კლიმენტის და მისი ეპისკოპოსობის დაწყებას ათარიღებს დომიციანუსის³ იმპერატორობის მეთორმეტე წლით, დასასრულს კი – ტრაიანეს⁴ ზეობის მესამე წლით. ამგვარად, კლიმენტის ეპისკოპოსობის პერიოდი მოიცავს 92-101 წწ-ებს.

წმინდა ეგნატე ანტიოქიელიც⁵ (იხ. მარიამის მიმართ გაგზავნილი მისი ეპისტოლე, საქ. ეკლ. კალენდარი, თბ., 1988 წ. გვ. 534-535) ანეკლიტოსის მომდევნოდ წარმოგვიდგენს კლიმენტი რომაელს და წმინდა პეტრესა და წმინდა პავლეს მოწაფედ სახელდება მას. ტერტულიანეს მიხედვით, მას კურთხევა მიუღია თავად წმინდა პეტრე მოციქულისაგან.⁶ წმინდა ეპიფანე კვიპრელი⁷ ადასტურებს ამ ცნობას, მაგრამ, თავის მხრივ, დასძენს, რომ კლიმენტიმ უთანხმოების თავი-

1 იხ. მისი შრომა *Adversus Haeresibus* ანუ „ერესების წინააღმდეგ“ 3.3.3.

2 წმ. პეტრე მოციქულის შემდგომ რომის ეპისკოპოსი ყოფილა ლინოსი (Lino~ 68-80 წწ.), შემდეგ – ანეკლიტოსი (Anacletus~ 80-92 წწ.), შემდეგ კი – კლიმენტი.

3 დომიციანუსი იმპერატორობდა 81-96 წწ. ჩვ. წ.-ით.

4 ტრაიანე იმპერატორობდა 98-117 წწ. ჩვ. წ.-ით.

5 ეგნატე ანტიოქიელი – ანტიოქიის ეპისკოპოსი. მოწამეობრივად აღესრულა ტრაიანეს იმპერატორობის დროს.

6 შესაძლოა, რომ ეს მოსაზრება ემყარებოდეს ტერტულიანეს სიტყვებს: „კლიმენტი აკურთხა პეტრემ“ (*De Praes.* 32,2).

7 წმ. ეპიფანე კვიპრელი (313-403 წწ.) – ორიგენიზმის ცნობილი მოწინააღმდეგე და სახელგანთქმული ეგზეგეტი.

დან აცილების მიზნით ეპისკოპოსობა დაუტოვა ლინოსს და ეს ხარისხი მხოლოდ ანენკლიტოსის შემდეგ მიიღო.

წმინდა კლიმენტის ადრინდელი ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერია ცნობილი. ორიგენე (იხ. მისი შრომა „კომენტარები იოანეს სახარებაზე“ 6.36) და ევსები კესარიელი (საეკლესიო ისტორია 6,3,15) კლიმენტი რომაელს აიგივებენ იმ კლიმენტისთან, რომელსაც ფილიპელთა მიმართ ეპისტოლეში (IV,3) ქებით იხსენიებს წმინდა პავლე მოციქული, როგორც მის თანამოღვაწეს. გადაჭრით რაიმეს თქმა ამ საკითხთან დაკავშირებით ძნელია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ წმინდა ეგნატესა და ირინეოსის მოწმობას, ეს მოსაზრება შეიძლება უსაფუძვლო არ იყოს.

უადრეს წყაროებში ჯერჯერობით დადასტურებული არ არის გვიანდელი ტრადიცია კლიმენტის მოწამეობის შესახებ. ბერძნული შრომა, რომელიც ატარებს სათაურს — „წამება წმინდა კლიმენტისა“, თარიღდება მეოთხე საუკუნით.¹

წმინდა კლიმენტის წარმომავლობისა და მისი ეროვნების ზუსტი დადგენა შეუძლებელია. ასევე შეუძლებელია მისი რომაული ან იუდაური წარმომავლობის შესახებ საუბარი, რადგან არ არსებობს ამისთვის საკმარისი ისტორიული მონაცემები. დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ კლიმენტი რომაელი ნამდვილად იყო პეტრე მოციქულის მოწაფე და რომის ეპისკოპოსი. კლიმენტი რომაელს, შესაძლოა, უიგივებოდეს ჰერმესის ცნობილ „მწყემსში“ ნახსენები კლიმენტი, როდესაც მეორე ხილვაში ხანდაზმული

1 ზოგიერთი წყაროს მიხედვით, წმინდა კლიმენტი თითქოს გარდაიცვალა ბუნებრივი სიკვდილით. მაგალითად, ნეტარი იერონიმე, როდესაც იგი კათედრაზე წმინდა კლიმენტის მემკვიდრეებს ჩამოთვლის და მიუთითებს ზოგიერთი მათგანის მოწამეობის შესახებ, არ ახსენებს კლიმენტის მარტვილობას. არც ევსები კესარიელი იძლევა მისი მოწამედ მიჩნევის საფუძველს (საეკლ. ისტ. 3,34. Ἄναλυσις τῶν Βίων). წმინდა კლიმენტი რომაელი, როგორც მოწამე, მართლმადიდებელ ეკლესიაში იხსენიება 25 ნოემბერს, ხოლო კათოლიკურში — 23 ნოემბერს.

მანდილოსანი, რომელიც ეკლესიას განასახიერებს, ურჩევს ჰერმესს, მისცეს ორი წიგნიდან ერთი კლიმენტის, მეორე კი — გრაპტეს, რომლის ვინაობაც უცნობია.

მისი სახელი გვხვდება წმინდა ეგნატე ანტიოქიელის მიერ ტრალისელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში, ხოლო ფილადელფიელთა მიმართ წერილში ეგნატე კლიმენტის რაცხს ძველი და ახალი აღთქმის იმ უდიდეს მოღვაწეთა შორის, რომლებმაც უქორწინებლად, სიწმინდით განვლეს ეს ცხოვრება და სიცოცხლის ბოლომდე ქალწულება დაიმარხეს.¹

წმინდა კლიმენტის დიდ ავტორიტეტზე მეტყველებს „დიდ სჯულისკანონში“ დაცული ცნობა, რომლის მიხედვითაც მისი შრომები უადრეს ეპოქაში შედიოდა ახალი აღთქმის კანონში (იხ. „დიდი სჯულისკანონი“, გამოსაცემად მოამზადეს ე. გაბიძაშვილმა, მ. დოლაქიძემ, გ. ნინუამ, თბ. 1975, გვ. 226). სჯულისკანონის ამ ცნობის მიხედვით, კლიმენტის, მოციქულთა კანონების ავტორს, ეკუთვნის, აგრეთვე, მოციქულთა განწესებანი და ორი ეპისტოლე. ორიგენეს აზრით, ზოგიერთები კლიმენტის მიაწერდნენ ებრაელთა მიმართ ეპისტოლეს (HEBREWS. VI, 25.14. შდრ. HE. III, 38). ბარატერიუსი თვლიდა, რომ დიოგნეტესადმი გაგზავნილი ეპისტოლეს ავტორი სწორედ კლიმენტი რომაელი იყო.

წმინდა კლიმენტი რომაელს, როგორც მეტად ავტორიტეტულ პირს, უძველეს დროშივე აკუთვნებდნენ სხვა შრომებსაც. მაგ.: მეორე ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, ორი წერილი „ქალწულთა მიმართ“, დიდაქტიკური ხასიათის ვრცელი თხზულებანი, პირობითად წოდებულნი როგორც „კლიმენტინები“. ამ თხზულებათა ავტორად კლიმენტი რომაელის დასახელება სამეცნიერო წრეებში უგულვებელყოფილია, მაგრამ, ჩვენი აზრით, დღემდე დამაკმაყოფილებლად არ არის ახსნილი, თუ რატომ მიეკუთვნა მთელ ამ ლიტერატურას კლიმენტის სახელი და რატომ იყო იგი, როგორც მისიონერი, ასეთი

1 იხ. საქ. ეკლ. კალენდარი, თბ., 1988, გვ. 574.

სახელმძღვანელო ადრექრისტიანულ წრეებში.

წმინდა კლიმენტი რომაელის, როგორც ეპისკოპოსის, როლი რომაულ ქრისტიანულ თემში დადასტურებულია უძველესი და უჭვეშმარიტესი ტრადიციით, მაგრამ მისი წარმომავლობისა და ცხოვრების შესახებ მეტად მწირი ცნობები საშუალებას არ გვაძლევს აღვადგინოთ ამ პიროვნების ცხოვრებისეული დეტალები.

წმინდა კლიმენტი რომაელის ცხოვრება აგრეთვე აღწერილი აქვს წმიდა მღვდელმთავარს, მიტროპოლიტ დიმიტრი როსტოველს თავის ნაშრომში, „წმიდათა ცხოვრება“.¹

რაც შეეხება ყველას მიერ კლიმენტისეულად აღიარებულ კორინთელთა მიმართ პირველ ეპისტოლეს, არც ის გვაწვდის რაიმე მნიშვნელოვან ცნობას მისი ცხოვრების შესახებ, თუმცა ეს ეპისტოლე მრავალმხრივ უაღრესად საყურადღებო ძეგლია და ის დიდი პატივი, რაც კლიმენტის ხვდა წილად, მნიშვნელოვნად განაპირობა სწორედ ხსენებულმა ეპისტოლემ, რომელიც მოციქულთა პერიოდის ამსახველ სხვა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტთა შორის (ახალი აღთქმის გამოკლებით) წარმოადგენს ქრისტიანული მწერლობის უძველეს ძეგლს, რომლის ავტორის სახელი, მდგომარეობა და ეპოქა ისტორიულად არის დამტკიცებული. შევეხოთ თავად ამ ეპისტოლეს, რომელიც უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია პირველი საუკუნის ეკლესიის გასაცნობად. მისი ტექსტი თანამედროვეა ახალი აღთქმის ბოლო თხზულებებისა და წარმოადგენს გარკვეული გარემოების გამო დაწერილ შრომას.

კორინთოს² ეკლესიაში დომიციანუსის იმპერატორობის ჟამს ატყდა შეხლა-შემოხლა, რამაც გამოიწვია რომის ეპის-

1 Димитрий Святитель: Жития Святых. В 12-ти томах. Том 3. Ноябрь. Издательство: Свято-Успенская Киево-Печёрская Лавра, 2010 г. ст. 700-715.

2 კორინთო – თავის დროზე საბერძნეთის ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი.

კობოსის ჩარევა.¹ ის დაჯგუფებები, რომლებიც თავის დროზე გააკიცხა წმინდა პავლე მოციქულმა, კვლავ დაუპირისპირდა საეკლესიო იერარქიას. ზოგიერთი პირი თავხედურად და ამპარტავნულად წინ აღუდგა საეკლესიო ავტორიტეტს და სამღვდლო პირნი მსახურებას ჩამოაშორა. მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობამ უერთგულა გადაყენებულ მღვდელმსახურებს. ამ უთანხმოებაში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ჯგუფები და პიროვნებები. ეკლესიის ერთობასა და ერთიანობას საფრთხე დაემუქრა. წმინდა კლიმენტი რომაელმა ეპისტოლე მისწერა კორინთოს ეკლესიას და მოუწოდა მათ მშვიდობისა და თანხმობისაკენ. მას სურდა, დაეცხრო კონფლიქტი და მოესპო ის მშფოთვარება, რაც განკითხვის მიზეზი ხდებოდა წარმართთათვის. ეპისტოლე შეახსენებს კორინთელ ძმებს იერარქიისა და წესრიგის აუცილებლობას, დაჟინებით მიუთითებს, რომ დაუყოვნებლივ მოექცნენ, რომ მშვიდობის მისაღწევად აუცილებელი პირობებია თავმდაბლობა და მორჩილება.

ჩვენთვის უცნობია, თუ რა გზით მიაღწია რომამდე უწყებათ კორინთოს არეულობის შესახებ. ჩვეულებრივ, მიიჩნევენ, რომ კორინთელებმა თვით მიმართეს რომის ეპისკოპოსს, რაიმე მოემოქმედა ამბოხების წინააღმდეგ, მაგრამ ეს თვალსაზრისი, ალბათ, უსაფუძვლოა. უფრო სარწმუნოა ვიფიქროთ, რომ შექმნილი ვითარების შესახებ კლიმენტის შეატყობინეს იმ რომაელმა ქრისტიანებმა, რომლებიც მაშინ კორინთოში იმყოფებოდნენ და მოწმე გახდნენ იქ არსებული უთანხმოებისა და განხეთქილებისა.

აღნიშნული ეპისტოლე განსაკუთრებით ფასეულია ეკლესიოლოგიის, დოგმატიკისა და ლიტურგიკის ისტორიისათვის.

1 ბერძნული ტექსტის გამომცემელი, ა. ჟობერი, შენიშნავს: „კორინთოს მოვლენების ბუნდოვანებამ გამოიწვია მრავალი მოსაზრების არსებობა. ბაუერის აზრით, გნოსტიკური მიმართულების მიმდევრებს სურდათ კორინთელ ღვთისმსახურთა განყენება მსახურებისაგან. რომმა მხარი დაუჭირა მართლმადიდებლურ მხარეს“ (იხ. Clement de Rome, Epitre aux Corinthiens, ed. par A. Jaubert, Sources Chrétiennes, Paris, 1971, p. 13, n.1).

1. ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებით ეპისტოლე შეიცავს საყურადღებო მოწმობას წმ. პეტრეს რომში მყოფობის შესახებ, აგრეთვე, ეხება წმ. პავლეს მოგზაურობას ესპანეთში (უკიდურეს დასავლეთში) და გვაუწყებს ამ ორი მთავარმოციქულის მარტვილურ აღსასრულს.

წმინდა პეტრესა და წმინდა პავლეს აღსრულებიდან ეპისტოლეს შედგენამდე გარკვეული დროა გასული. მართლაც, მათგან დადგენილ ეპისკოპოსებს და დიაკვნებს უკვე მონაცვლეები (დიაღნოსები) ჰყავთ. გარდა ამისა, ეპისტოლე კორინთოში ჩაიტანეს იმ ადამიანებმა, რომლებმაც თავიანთი ცხოვრება უზადოდ გაატარეს ქრისტიანული თემის წიაღში ახალგაზრდობიდან სიბერემდე.

მეექვსე თავში მოცემულია რომის იმპერატორის, ნერონის მიერ ქრისტიანულ დევნასთან დაკავშირებული ამბები. მასში საუბარია მარტვილთა გუნდის შესახებ და აღნიშნულია, რომ ამ მარტვილთა შორის უმეტესობას ქალები წარმოადგენდნენ.

2. დოგმატიკის თვალსაზრისით, ეს ეპისტოლე იმსახურებს იმას, რომ ეწოდოს საეკლესიო იურისდიქციის მანიფესტი. პირველად სწორედ ამ ძეგლშია ცხადად და გასაგებად გამოთქმული მოძღვრება სამოციქულო მოსაყდრეობის შესახებ. კლიმენტი განსაკუთრებით აღინშნავს, რომ მღვდლების გადაყენების უფლება საეკლესიო მრევლის წევრებს არ გააჩნიათ. ისინი ვერც მღვდელმოქმედების უფლებამოსილებას მიანიჭებენ ვისმე.

ეკქარისტიული ძღვნის შემწირველი ადამიანები, რომლებიც უბიწოდ და სარწმუნოებით სწირავენ ამ ძღვენს უფალს, არიან ეპისკოპოსები. არ შეიძლება მათი გამეგება და ღვთისმსახურებისაგან ჩამოშორება. ხელდასხმულნი (დადგენილნი) ამ ტვირთს ატარებენ მთელი ცხოვრების მანძილზე. ეპისკოპოსთა ფუნქციებზე ცოტა რამ არის ნათქვამი: ისინი სწირავენ ძღვენს, მოძღვრავენ და სინანულისკენ მოუწოდებენ. თუმცა იქვე შენიშნულია, რომ არავის აქვს, უფლება,

თავი აიმაღლოს ქრისტეს სამწყსოზე.

3. თხზულება მნიშვნელოვანია ლიტურგიკული თვალსაზრისით. მასში ერთმანეთისგან გამიჯნულია იერარქია და საერო საზოგადოება. ქრისტიანული იერარქიის წევრები ავტორის მიერ სახელდებულნი არიან ეპისკოპოსებად და დიაკვნებად. სხვაგან გვხვდება, აგრეთვე, წოდება „ხუცესი“. მათი მოღვაწეობის საგანი, ავტორის თქმით, არის ლიტურგიის აღსრულება და საღვთო ჭეშმარიტების დამოწმება.

თხზულების დაწერის თარიღად მიჩნეული 95-96 წწ., რადგანაც მასში საუბარია ქრისტიანთა ორი ერთმანეთზე მიღვენებული რეპრესიის შესახებ. პირველი უკავშირდება წმ. კლიმენტი რომაელის ეპისკოპოსობის ჟამს (92-101 წწ.), ხოლო მეორე დევნა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ 95-96 წწ.-ში რომის იმპერატორ ღომიციანუსის მიერ.

კლიმენტი რომაელის ავტორობა დამოწმებულია უძველესი დროიდანვე. დიონისე კორინთელი (II ს-ის მეორე ნახევარი) გვაუწყებს, რომ კლიმენტის ეპისტოლეს ყოველთვის უკითხავდნენ მრევლს. ეს მოწმობა მოტანილია ევსები კესარიელის „საეკლესიო ისტორიიდან“. ევსები კომენტარს ურთავს დიონისეს მიერ რომის ეკლესიის და მისი ეპისკოპოსის, სოტერის, მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეს და მოაქვს ფრაგმენტი ამ ეპისტოლედან: „დღეს ჩვენ ვიზეიმეთ უფლის წმინდა დღე და წავიკითხეთ შენი ეპისტოლე. ამ ეპისტოლეს ჩვენ ვინახავთ მუდამ, რომ წავიკითხოთ, როგორც შეგონება, მსგავსად კლიმენტის მიერ დაწერილი პირველი ეპისტოლესი“.¹

აღვნიშნავთ, რომ ხსენებულმა ეპისტოლემ ჩვენამდე მოაღწია ორი ხელნაწერით: (I) სახელგანთქმული „ალექსანდრიული ხელნაწერი“, ე.წ. ალექსანდრიული კოდექსი (V ს.), (II) იერუსალიმური ხელნაწერი, გადაწერილი ლეონის მიერ

1 ეს ფრაგმენტი დაცულია ევსების „საეკლესიო ისტორიაში“ (4.23.11). თავად ევსები უმატებს: „ეკლესიების დიდი რიცხვი საჯაროდ კითხულობს ამ ეპისტოლეს შეკრებებზე, ასეა დღემდე“ (საეკლ. ისტ. 3.16).

1056 წ-ს (იგივე ხელნაწერი, რომელმაც შემოგვინახა „დიდაქე“). ამ ხელნაწერში ტექსტი სრული სახითაა დაცული. ეპისტოლე უძველეს დროშივე ითარგმნა სირიულად. თარგმანი შემონახულია 1170 წლის ერთ ხელნაწერში, რომელიც სირიული ახალი აღთქმის ტექსტს შეიცავს (დაცულია კემბრიჯის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში).

ვ. მორინმა 1894 წ-ს დაბეჭდა ხსენებული ეპისტოლეს ლათინური თარგმანი, რომელიც თარიღდება II ს-ის პირველი ნახევრით (ხელნაწერი XI ს-ისაა). თარგმანი ზედმიწევნითია, სიტყვასიტყვითი. არსებობს ხსენებული ეპისტოლეს ორი თარგმანი კოპტურად (ახმიმიკურ დიალექტზე). ერთი პაპირუსმა შემოგვინახა, რომელიც IV ს-ით თარიღდება (დაცულია შენუტის თეთრ მონასტერში). მეორე თარგმანი შემონახულია VII ს-ის პაპირუსით, რომელიც ფრაგმენტულია. ბერძნული ტექსტის კარგი გამოცემაა: Th. Schaeber, S. Clementis Epistila ad Corinthios, Bonn, 1941; უკანასკნელ ხანს იგივე ტექსტი სათანადო ფრანგული თარგმანითა და კომენტარებით გამოიცა “Sources Chretiennes” სერიით (ტექსტის თარგმნისას ამავე გამოცემით ვსარგებლობდით ჩვენც).

ქვემოთ თარგმანი მოკრძალებული ცდაა იმისა, რომ მორწმუნე ქართველ მკითხველს შესაძლებლობა მიეცეს ქართულად გაეცნოს უადრესი ეპოქის ამ უმნიშვნელოვანეს ძეგლს.

მთარგმნელი

წმ. კლიმენტი რომაელი, რომის ეპისკოპოსი,
კორინთელთა¹ მიმართ ეპისტოლე

ღვთის ეკლესია, რომელიც მკვიდრობს² რომში, —
ღვთის ეკლესიას, კორინთში მკვიდრს, მოწოდებ-
ულთ, განწმენდილთ³ ღვთის ნებით, ჩვენი უფლის, იესო
ქრისტეს მიერ! მადლი თქვენ და მშვიდობა ყოვლისმწყ-
რობელი ღვთის, იესო ქრისტეს მიერ გამრავლდეს!⁴

თავი I

მოულოდნელი და ერთიმეორის მიღვენებით ჩვენთან მომხ-
დარი განსაცდელებისა და შემთხვევების გამო,⁵ ვფიქრობთ,

1 კორინთო — თავის დროზე ერთ-ერთი უმდიდრესი ქალაქი საბერ-
ძნეთისა.

2 ἡ παροικουσα, Tit. p. 98. — ძვ. ბერძნულიდან ითარგმნება რო-
გორც „ხიზანი“, „მწირი“, „უცხო მხარეში მცხოვრები“. ამით გამოიხ-
ატებოდა ქრისტიანთა შეგნება, რომ ისინი მწირობაში იმყოფებიან ამ მი-
წაზე. დიოგენესადმი გაგზავნილი ეპისტოლეს ავტორი, რომელიც ასევე
მოციქულთა მოწაფეა, წერს: „ქრისტიანები საკუთარ მამულებში მკვი-
დრობენ, მაგრამ მკვიდრობენ როგორც უცხონი“ (4,5) შდრ. კლ. რომ. II
ეპისტოლე: „ჩვენი სხეულით მწირობაში ყოფნა ამქვეყნად მცირე და ხან-
მოკლეა, ქრისტეს დაპირება კი — დიდი და საკვირველი“ (თ. V). შდრ. I
პეტრე 1,17: „მოშიშებით გაატარეთ თქვენი მწირობის ყამი“. შდრ. ებრ.
11.13. შდრ. ფს. 119.5.

3 „κλῆτοι ἡγιασμένοι“ Tit. p. 98. შდრ. იუდა 1.1; შდრ. რომ. 1.7;
შდრ. I კორ. 1,2.

4 ἡ πληθυντική Tit. p. 98. — ამ სიტყვას ორჯერ იყენებს წმ. პეტრე
მოციქული. შდრ. I პეტრე, 1,2; II პეტრე 1,2; შდრ. იუდა 2.2.

5 როგორც ფრანგი მკვლევარი ა. ჟობერი მიიჩნევს, ჰეგესიპეს და
მომღვენო პერიოდის ტრადიციით აქ უნდა იგულისხმებოდეს რომის იმ-

დაგვიანებით მივაქციეთ ყურადღება, საყვარელნო, თქვენ შორის გამოსაძიებელ საქმეებს და იმ ბილწსა და უწმინდურ ამბოხს, უცნოსა და შეუფერებელს ღვთის რჩეულთათვის, რაც რამდენიმე უგულისხმო და თავხედმა პირმა ჩამოაგდო და ისეთ დაპირისპირებამდე მიიყვანა, რომ ღირსეული, სახელგანთქმული და ყოველი ადამიანისათვის სანუკვარი თქვენი სახელი ღიდად შეურაცხყო.

რადგან ვის უცხოვრია თქვენთან თუნდაც მცირე ხნით ისე, რომ არ გამოეცადოს თქვენი ყოვლადსათნო და მტკიცე რწმენა? ვინ არ განცვიფრებულა ქრისტეში თქვენი გონიერი და კრძალული კეთილმორწმუნეობით? ვის არ უღიარებია თქვენი სტუმართმოყვარეობის სულგრძელი ჩვეულება? ვის არ ნეტარუყვია სრული და მყარი ცოდნა?

რადგან ყველაფერს პირუთვნელად იქმოდით და ღვთის დადგენილებათა მიხედვით იქცეოდით.¹ ემორჩილებოდით თქვენს წინამძღოლებს² და ჯეროვან პატივს მიაგებდით თქვენს ხუცესებს.³ ახალგაზრდებს შთააგონებდით, რომ ზომი-

პერატორის, დომიციანუსის დროინდელი ღვთააღმსახურებელი ქრისტიანებისა.

1 ეს სიტყვები მოაქვს კლიმენტი ალექსანდრიელს თავის ცნობილ „სტრომატებში“ IV. C.17. შდრ. ლევ. 18.4;20.22.

2 hgoumehoi~ 1.3 – ეს სიტყვა რამდენჯერმე გვხვდება წმ. პავლე მოციქულის ებრაელთა მიმართ გაგზავნილ ეპისტოლეში და წმ. გიორგი მთაწმიდელის მიერ ყველა შემთხვევაში თარგმნილია, როგორც „წინამძღვარი“. შდრ. ებრ. XIII. 7,17,24 (იხ. „ახალი აღთქმა“, თბ., 1963. გვ. 537) (ბერძნულ ფორმებს ვუთითებთ შემდეგი გამოცემის მიხედვით: Clément de Rome, Épitre aux Corinthiens, ed. par A. Jaubert, Sources Chrétiennes, Paris, 1971. პირველი ციფრი აღნიშნავს ბერძნული ტექსტის თავს, ხოლო მეორე – მუხლს).

3 presbuteroi~ 1.3 – მოციქულთა ეპოქაში პრესვიტერი ხშირად ეწოდებოდა ეპისკოპოსს და, პირიქით, ეპისკოპოსი – პრესვიტერს (იხ. საქმე მოც. XX, 17-18, 28; I პეტრე 5.2; ტიტე 1.5.7; I ტიმ. III, 1.2.7. პრესვიტერს უწოდებდნენ თავს თვით წმ. პეტრე (I პეტრე 5.1) და იოანე (II ინ. 1.1; III ინ. 1.1) მოციქულები. სავარაუდოა, რომ პრესვიტერებსა და ეპისკოპოსებს თანაბრად მიეკუთვნებოდათ სხვა ზოგადი სახელწოდებებიც, რომლებიც „მოციქულთა საქმეებსა“ და ეპისტოლეებში ამა თუ იმ

ერად და ღირსებით მოქცეულიყვნენ, ქალებს ამცნებდით, რომ ყველაფერი აღესრულებინათ უმწიკვლო, პატიოსანი და წმინდა სინდისით, ჯეროვნად ჰყვარებოდათ თავიანთი მეუღლეები, ასწავლიდით, რომ მორჩილების კანონი ეტვირთათ, ღირსეულად განეგოთ საოჯახო საქმეები და მოქცეულიყვნენ ფრიადი გონიერებით.

თავი II

ქველანი სიმდაბლით იქცეოდით, არავინ ზვაობდით, უფრო ემორჩილებოდით, ვიდრე იმორჩილებდით, მეტი სიხარულით გასცემდით, ვიდრე იღებდით.¹ სჯერდებოდით ქრისტეს საგზალს და ყურად-იღებდით მის სიტყვებს, რომელთაც გულის სიღრმეში იუნჯებდით და მისი ვნებანი² თქვენს თვალწინ იყო.

ამრიგად, ყველას გვებოძა ხანგრძლივი, სასიხარულო მშვიდობა და განუძღომელი წადიერება კეთილმოქმედებისა; სუ-

საეკლესიო საზოგადოების სათავეში მდგომთ მიემართება, მაგ. მწყემსები (poimene~ — ეფეს. 4.11); წინამძღოლნი (hēgoumenoi — ებრ. XIII,7); წინამძღვარნი (proistamenoī — I თეს. 5.12).

ხუცესისა და ეპისკოპოსის ურთიერთმიმართების შესახებ წმ. ეფრემ მცირე წმ. დიონისე არეოპაგელის წიგნებზე დართულ კომენტარებში ასე ამბობს: „შეისწავე, ვითარმედ მაშინ ჯერეთ ეპისკოპოსთა მდღელ უწოდიან და მდღელთა — ეპისკოპოს, რამეთუ არღა განკუთვნილ იყვნეს სახელნი ესე“ (წმ. დიონისეს შრომათა ქართული ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო სამსონ ენუქაშვილმა, თბ. 1961, გვ. 261).

ვფიქრობთ, რომ მოცემულ კონტექსტში „ხუცესი“ ნიშნავს საეკლესიო იერარქიის, საეკლესიო ხარისხის წარმომადგენელს და არა ეკლესიის უხუცეს წევრს.

1 შდრ. საქმ. მოც. 20.35; შდრ. „მოციქულთა განწესებანი“ IV,3.1.

2 ta:pqhmata 2.1 — იგულისხმება მაცხოვრის მიერ აღამიანთა ცხონებისთვის დათმენილი ტანჯვა-წამება (გაშოლტვა, შენერწყვანი, ყვრიმლისცემანი, მხრებით ჯვრის ზიდვა და ბოლოს — ჯვარცმა).

ლიწმინდის სავსე გადმოღვრა აღსრულდა ყველაზე.¹

წმინდა ზრახვით აღვსილნი, კეთილი გულმოდგინებით, ღვთისმოსავი გულდაჯერებით იწვდიდით თქვენს ხელებს ყოვლისმპყრობელი ღვთის მიმართ, ევედრებოდით მას, მოწყალეობა გამოეჩინა, თუ უნებურად რამ შეგეცოდათ. დღე და ღამ ღვაწლში იყავით მთელი სამმოსთვის,² რომ გადარჩენილიყო მის რჩეულთა რიცხვი გულმოწყალებითა და შეგნებულობით. გულწრფელნი და სპეტაკნი იყავით, ურთიერთისადმი ძვირუხსენებელნი. ყოველგვარი ამბოხი და განხეთქილება გაგდათ თქვენ. მოყვასთა შეცდომების გამო გლოვობდით, მათ ნაკლოვანებებს საკუთრად რაცხდით. უმურველნი იყავით ყოველგვარ კეთილქმედებაში, „მზადყოფნი ყოველი კეთილი საქმისათვის“.³

ყოვლადსათნო და სათაყვანო მოღვაწეობით შემკულნი, ყველაფერს მისდამი მოშიშებით აღასრულებდით; უფლის ბრძანებები და რჯულისმიერი დადგენილებები გულის ფიცარზე გქონდათ ამოტვიფრული.⁴

თავი III

ყოველი დიდება და სიუხვე⁵ მოგეცათ თქვენ და აღსრულდა წმინდა წერილში ნაუწყები: „ჭამდა და სვამდა, გაფუვდა და

1 შდრ. რომ. 5.5.

2 შდრ. I პეტრე 2.17; 5.9.

3 შდრ. II ტიმ. 2.11; ტიტე 3.1; II კორ. 9.8; კოლას. 1.10; II ტიმ. 3.17; ტიტე 1.16.

4 შდრ. იგ. 7.3; 22.20.

5 platusmo~ 3.1 – ეს სიტყვა ეკლესიის მამებთან ხშირად იხმარება გულის სასიხარულო მღგომარეობის გამოსახატად. შდრ. „მწყემსი“, მცნება V.1.

გასუქდა და წიხლი ჰკრა მან, შეყვარებულმა“.¹

ამისგანაა შური და ღვარძლი, კამათი და შფოთი, დევ-
ნა და ამბოხი, ბრძოლა და ტყვეობა. ასე აღდგნენ უპატიონი
პატივდებულებზე,² სამარცხვინონი – სახელგანთქმულებზე,
უგუნურები – გონიერებზე, ახალგაზრდები – მოხუცებულე-
ბზე. ამის გამო შორს განდგა სამართლიანობა და მშვიდობა.³
ყოველმა მათგანმა მიატოვა ღვთის შიში და რწმენაში და-
ჩლუნგდა. არც მისგან ნამცნებ ბრძანებათა თანახმად იქცევა,⁴
არც მოღვაწეობს ქრისტესთვის ღირსად, არამედ თითოეული
მიჰყვება თავისი უკეთური გულის სურვილებს. და შეითვისეს
მათ უსამართლო და უღმერთო შური, რომლისგანაც „სიკვდი-
ლი შემოვიდა ქვეყნად“.⁵

თავი IV

წადგან ასეა დაწერილი: „და იყო დღეთა შემდგომ, მიუტა-
ნა კაენმა ღმერთს მსხვერპლი მიწის ნაყოფთაგან; და აბელმა
მიართვა, მანაც, თავისი პირველმოგებული ცხვრებისაგან და
მათ ცმელთაგან. და მოიხილა ღმერთმა აბელზე და მის ძღვენ-
ზე, ხოლო კაენზე და მის მსხვერპლზე არ მოიხილა. და ძალიან
დამწუხრდა კაენი და მოიქუფრა მისი სახე. და უთხრა ღმერ-
თმა კაენს: „რატომ დამწუხრდი და რატომ მოიქუფრა შენი
სახე? თუ სიმართლით შემოწირე, სიმართლით კი არ განყავი,
არ შესცოდე? დადუმდი! შენვე დაგიბრუნდება ეს და შენ იქნები

1 შდრ. II რჯ. 32.15.

2 შდრ. ეს. 3.5.

3 შდრ. ეს. 59.14.

4 ლევ. 18.13; 20.23.

5 სიბრძნე 2.24; შდრ. რომ. 5.12.

პასუხისმგებელი მასზე“¹. და უთხრა კაენმა თავის ძმა აბელს: გავიდეთ დაბლობზე! და იმ დროს მოხდა, როცა ისინი ველად იმყოფებოდნენ, რომ აღდგა კაენი აბელზე, თავის ძმაზე, და მოკლა ის“².

ნახეთ, ძმებო, შურმა და ღვარძლმა ძმათა მკვლელობა აღასრულა. შურის გამო ივლტოდა ჩვენი მამა იაკობი თავისი ძმის, ესავის პირისაგან.³ შურმა სიკვდილამდე ღვეწულებაში ამყოფა იოსები და მონობამდე მიიყვანა იგი.⁴ შურმა აიძულა

1 აღნიშნული მუხლი ზედმიწევნით თანხვლება სეპტუაგინტის ტექსტს (და არა მასორეთულ ბიბლიას), რაც საყურადღებო მონაცემია იმის დასადასტურებლად, რომ პირველი საუკუნისათვის სეპტუაგინტა უკვე სრულ გამოყენებაშია ეკლესიის მამათა მიერ.

2 შდრ. ძვ. ქართული თარგმანი: „და იყო შემდგომად დღეთა, მორთუა კაენ ნაყოფთაგან ქუეყანისათა მსხუერპლი უფალსა. და აბელ მორთუა, მანცა, პირმშოთაგან ცხოვართა მისთასა და ცმელთაგან მათთა. და მოიხილა ღმერთმან აბელს ზედა და ძღუნენთა მისთა ზედა, ხოლო კაენს ზედა და მსხუერპლთა მისთა ზედა არა მოიხილა. და შეწუნნა კაენ ფრიად და შეიჭუნა პირი მისი. და ჰრქუა უფალმან ღმერთმან კაენს: „რამსათჳს მწუნსარე იქმენ და რად შეიჭუნა პირი შენი? უკუეთუ მართლიად შემოსწირე, ხოლო მართლიად არა განჰყავ, არა სცოდე-ა? დაყუდენ! შენდამი – მიქცევაჲ მისი და შენ ჰმსთავრობდი მას“ და თქუა კაენ აბელის მიმართ, ძმისა თჳსისა: „განვიდეთ ველად“. და იყო, ყოფასა მათსა ველსა, აღდგა კაენ აბელის ზედა, ძმისა თჳსისა, და მოკლა იგი“ (შესაქმე, 4.3-8. იხ. „წიგნი ძუელისა აღთქუმისანი“, ნაკვ. I, „მეცნიერება“, 1989, გვ. 71).

უმნიშვნელოვანესად მივიჩნევთ წმ. გრიგოლ ნოსელის სიტყვებს იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ შეიწირა ღმერთმა კაენის მსხვერპლი: „რამეთუ არცამცა კაენ დაშვილ იყო ბოროტად განყოფისათჳს, უკუეთუმცა სამართლად შეწირვისა თანა ჯეროვანიცამცა წესი დაემარხა, რომელ არს თჳსისა სავმრისა დატევებაჲ და ღმრთისა შეწირვაჲ, რამეთუ ჯერიყო, რამათამცა მსხუერპლი ღმრთისაჲ პირველთა ნაყოფთაგან შეწირა და ნეშტთა მათგან თჳთ გამოზრდილ იყო, ხოლო იგი უპატოისნესთა მათგან თჳთ განძღებოდა და ნეშტითა მით ღმერთსა ისტუმრებდა“ (წმ. გრიგოლ ნოსელი, „თარგმანებაჲ ქებისა ქებათაჲსაჲ“ (A. 55, 96va). წმ. გიორგი მთაწმიდელის თარგმანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო გულნაზ კიკნაძემ. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა, თბ. 2013., გვ. 140).

3 შდრ. დაბ. 27.41.

4 შდრ. დაბ. თ. 37.

მოსეს გაქცევა ეგვიპტის მეფის, ფარაონის პირისაგან, როდესაც თვისტომისაგან მოესმა: „ვინ დაგადგინა შენ ჩვენ მსაჯულად ან მოსამართლედ? ნუთუ გსურს შენ, რომ მომკლა მე, როგორც გუშინ ეგვიპტელი მოკალი?“¹ შურის გამო აარონი და მარიამი ბანაკს გარეთ ათევდნენ ღამეს.² შურმა დათანი და აბირონი ცოცხლად ჩაიყვანა ჯოჯოხეთში, რადგან აუჯანყდნენ ღვთისმსახურ მოსეს.³ შურის გამო დავითს მტრად გაუხდნენ არა მხოლოდ უცხოტომელნი, არამედ ისრაელის მეფის, საულისგანაც, იღვენებოდა იგი⁴.

თავი V

წოლო იმისათვის, რომ თავი დავანებოთ ძველ მაგალითებს, გადავიდეთ უახლოეს მოღვაწეებზე. თვით ჩვენი თაობიდან ავიღოთ ღირსეული ნიმუშები. შურისა და ღვარძლის გამო იღვენებოდნენ უმართლესი ბურჯები⁵ [ეკლესიისა], რომლებმაც სიკვდილამდე იღვაწეს. თვალი მივაპყროთ ღვთისსათნო მოციქულებს: პეტრეს, რომელმაც უსამართლო შურის გამო არა ერთი და ორი, არამედ მრავალი ტანჯვა დაითმინა და სწამარა,⁶ მიაღწია დიდების შესაფერის ადგილს. შურისა და უთანხმოების გამო მოთმინების საზღაური მიიღო პავლემ. შეიღვზის

1 გამ. 2.14.

2 შდრ. რიცხ. 12.14-15.

3 შდრ. რიცხ. თ. 16.

4 I მეფ. 18-29.

5 stuloi 5.2 – „ბოძები“ (ძვ. ქ. „სუეტნი“) გვხვდება I ტიმ. 3.15; გალ. 2.9, აგრეთვე, „აპოკალიფსში“, 3.12.

6 marturhḡa~ 5.4 – შენიშნულია, რომ martu~ ჯერ კიდევ არ ნიშნავს „მოწამეს“, ე.ი. ვინც აწამეს, არამედ – „მოწმეს“. ე.ი. ვინც „სწამებს“, ვინც „ემოწმება“, ვინც „ადასტურებს“.

თავს-იღვა მან ბორკილები; დევნეს იგი, ქვით ჩაქოლეს¹ და მაინც ქადაგებდა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე და თავისი რწმენის შესაფერისი სახელიც გაითქვა. მთელ ქვეყანას ასწავლა მან სიმართლე და დასავლეთის საზღვრამდეც მივიდა, სწამა მან მთავართა წინაშე. ასე გარდაიცვალა ამ სოფლიდან და როგორც მოთმინების დიადი სახე, წმინდა ადგილს მიეახლა.

თავი VI

მსეთ კაცებს, რომლებიც წმინდად მოქალაქეობდნენ, შეუერთდა რჩეულთა დიდი სიმრავლე, რომლებმაც შურის გამო ბევრი შეურაცხყოფა და ტანჯვა დაითმინეს და უბრწყინვალესი ნიმუშნი გახდნენ ჩვენთვის. შურით იდევენობდნენ ქალები; დანაიდები და ღირკეები.² საშინელი და უღმერთო წამება

1 შდრ. II კორ. 11.24-25. პირდაპირი მოწმობა შეიღვზის ბორკილების თავსდების შესახებ მოციქულთა საქმეში არა გვაქვს. სავარაუდოა, რომ კლიმენტი ამის შესახებ საუბრობს ან როგორც თანამედროვე თვითმხილველი, ანდა ეყრდნობა სარწმუნო გადმოცემას.

2 Danaïde~ kaiDirkai 6.2 – დანაიდების შესახებ აკაკი გელოვანის მიერ შედგენილ მითოლოგიურ ლექსიკონში ვკითხულობთ: „ლიბიის მეფის, დანაოსის 50 ასული იძულებული გახდა მიეტოვებინა სამშობლო, რადგან არ სურდათ თავიანთი ბიძაშვილების, ეგვიპტოსის ვაჟების ცოლობა. საბოლოოდ მათ თავი შეაფარეს არგოლიდას, მაგრამ ეგვიპტოსის ვაჟებმა დაამარცხეს არგოლიდის მეფე ჰელასგე და დანაიდები მაინც შეირთეს. დანაიდებმა ქორწილის ღამეს დახოცეს თავიანთი ქმრები. მართალია, მათ ეს ამბავი ღმერთებმა სიცოცხლეში აპატიეს, მაგრამ სასჯელს ჰადესის პირქუშ სამეფოში იხდიან, ავსებენ უძირო ქვევრს“ (იხ. ა. კუნი „ძველი საბერძნეთის ლეგენდები და მითები“, თბ., 1965, გვ. 318). დანაიდებს ახსენებს ტატიანე სირიელიც, იხ. მისი შრომა: „ეკლინთა წინააღმდეგ“, თ. 26. რაც შეეხება ღირკეებს (Dirkai), მათ შესახებ კლიმენტი რომაელის ეპისტოლის რუსულ ენაზე მთარგმნელი შენიშნავს: „ბოროტმა ღირკემ ანტიოპეს დევნის გამო, რომელიც თებეს მეფის, ნიკთეოსის ქალიშვილი იყო, სასჯელი მიიღო ამ უკანასკნელის ვაჟიშვილებისაგან. იგი ხარის რქებზე მიაბეს და სიკვდილამდე ნაწამები მდინარეში ჩააგდეს“.

დაითმინეს მათ, მტკიცედ განვლეს რა რწმენის სარბიელი და სხეულით უღონოებმა ღირსეული საზღაური მოიპოვეს.

შურმა გააჰყარა ცოლები ქმრებს და **გადაასხვაფერა** ჩვენი მამის, ადამის, მიერ ნათქვამი: „აი, ეს ახლა არის ძვალი ჩემი ძვლებისაგან და ხორცი ჩემი ხორცისაგან“.¹

შურმა და განხეთქილებამ დააქცია დიდი ქალაქები და ძირ-ფესვიანად აღმოფხვრა დიდი ტომები.

თავი VII

ქოველივე ამას, საყვარელნო, არა მარტო იმისთვის გწერთ, რომ თქვენ დაგარიგოთ, არამედ საკუთარ თავსაც შევახსენებთ, რადგან იმავე ასპარეზზე ვართ და იგივე ბრძოლა მოგველის ჩვენც².

ამიტომაც, მივატოვოთ ამაო და ფუჭი საქმენი და მივიდეთ ჩვენი გადმოცემის სახელოვან და ღირსეულ კანონთან. გულისხმა-ვყოთ, რა არის კეთილი, სასურველი და სათნო ჩვენი შემოქმედის წინაშე. მხერა მივაპყროთ ქრისტეს სისხლს და

ბერძნული მითოლოგიის ამ ცნობილ დანაშაულობებს, რაც წარმართული სამყაროს ქალებმა ჩაიდინეს, კლიმენტი კონტრასტისათვის უპირისპირებს ქრისტთან წამებულ ქალებს, რომლებმაც უდანაშაულოდ დაითმინეს წამება წარმართებისაგან. კოტელიერი დანაისა და ღირკეს თვლიდა ქრისტთან მოწამებულად, მაგრამ ასეთი სახელები მარტიროლოგიებში შემონახული არ არის. იაკობსონი ფიქრობს, რომ ეს სიტყვები მოუხერხებელი გადამწერის მიერ შეტანილი იქნა აშეებიდან თავად ტექსტში (იხ. *АНТОЛОГИЯ Мужей апостольские и апологеты*, Брюсель, 1988. стр. 46).

1 შდრ. ძვ. ქართული თარგმანი: „ესე არს ძუალი ძუალთა ჩემთაგან და ჯორცი ჯორცთა ჩემთაგან“ (დაბ. 2.23, იხ. წიგნი ძუელისა აღთქუმისანი, ნაკვ. I, გელათური რედაქცია (A179), „მეცნიერება“, 1989, გვ. 68).

2 იგულისხმება ეს წუთისოფელი, სადაც გაბატონებულია შური და ღვარძლი, რასაც ახოვნად უნდა შეებრძოლოს ყველა ჭეშმარიტი მოღვაწე.

შევიცნოთ, რაოდენ სათნოა¹ იგი მისი მამისთვის, რადგან ჩვენი ხსენისათვის დაიღვარა და მთელ ქვეყანას სინანულის მადლი მოჰფინა. მიმოვიხილოთ ყველა თაობა და შევიცნობთ, რომ თაობიდან თაობაში სინანულის შესაძლებლობა მისცა ყოველთა მეუფემ მისკენ მოქცევის მსურველებს.² ნოემ იქადაგა სინანული და ვინც ყურად ილო, გადარჩა³. იონამ ნინეველებს დაქცევა უქადაგა, მაგრამ მათ შეინანეს თავიანთი ცოდვები, რითაც მოიმაღლიერეს ღმერთი და მისდამი მავედრებლებმა, მიიღეს ხსნა,⁴ თუმც კი უცხონი იყვნენ ღვთისა⁵.

თავი VIII

ღვთის მადლის მსახურნი სულიწმინდის მიერ სინანულის შესახებ იუწყებოდნენ და თავად ყოველთა მეუფემაც სინანულის შესახებ თქვა ფიცით: „რადგან მე ცოცხალი ვარ, ამბობს უფალი, არ მნებავს ცოდვილის სიკვდილი, არამედ — სინანული მისი“;⁶ დასძენს კეთილშეგონებასაც: „შეინანე, ისრაელის სახლო, შენი უსჯულოებისაგან. ამცნეთ ჩემი ერის ძეგბს: მიწიდან ზეცამდე რომ აწვდეს თქვენი ცოდვები, მეწამულზე უფრო წითელი და ძაძაზე მეტად შავიც რომ იყოს იგი, მთელი გულით რომ მოიქცეთ ჩემსკენ და თქვათ: მამაო! შევისმენ

1 შდრ. I პეტრე 1.19.

2 სიბრძნე 12.10.

3 იგულისხმება, რომ ისინი, რომლებმაც ირწმუნეს მართალი ნოეს ქადაგება მოსალოდნელი სასჯელის შესახებ და მორჩილნი გაუხდნენ მის სიტყვებს, გადაურჩნენ წარღვნას.

4 შდრ. იონა 3.4-10. მათე 12.41. ლუკა 11.32.

5 kaiper ajlotrioi tou` qeou` ohte~ 7.7 — იგულისხმება, რომ ნინეველები არ იყვნენ ისრაელიანელები, არ ეკუთვნოდნენ ღვთის რჩეულ ერს.

6 იეზეკ. 18.23; 31.11.

თქვენსას, როგორც წმინდა ხალხისას“.¹ და სხვა ადგილას ასე ბრძანებს: „განიბანეთ და განიწმინდეთ, განიშორეთ ბოროტებანი თქვენი სულებიდან ჩემ თვალთა წინაშე, დასცხერით თქვენი სიბოროტისაგან, ისწავლეთ კეთილის ქმნა, გამოიძიეთ მსჯავრი, იხსენით ჩაგრული, უსაჯეთ ობოლს და განამართლეთ ქვრივი. და მოდით და განვსაჯოთ, ამბობს უფალი, – და თუ იქნება თქვენი ცოდვები, როგორც მეწამული, თოვლივით განვასპეტაკებ, ხოლო თუ ალისფერი იქნება, მატყლივით განვასპეტაკებ, და თუ ინებებთ და მომისმენთ მე, ისაზრდოებთ მიწის სიკეთეთაგან, ხოლო თუ არ ისურვებთ და არც ჩემსას მოისმენთ, მახვილი გაგანადგურებს თქვენ, რადგან უფლის პირმა თქვა ეს“.²

ამრიგად, მას სურს, სინანულს აზიაროს მისი მოყვარულნი და დაამტკიცა ეს მისი ყოვლისმპყრობელური ნებით.

თავი IX

ჭმითომ, დავემორჩილოთ მის დიდადშესაშვენ და განთქმულ ნებას, ვევედროთ მის წყალობასა და თანაგრძნობას, დავეგოთ და მივიქცეთ მისი გულმოწყალებისაკენ. მივატოვოთ ფუჭი გარჯა, უთანხმოება და შური, რომელიც სიკვდილისაკენ

1 უცნობია. შდრ. იეზეკ. 18.30; ფს. 102.11; იერ. 3.19.22; ესაია 1.13.

2 შდრ. ძვ. ქართული თარგმანი: „განიბანენით, განიწმინდენით, განიშორეთ უკეთურებაჲ თქუენი სულთაგან თქუენთა წინაშე თუალთა ჩემთა; დასცხერით ბოროტთაგან თქუენთა, ისწავეთ კეთილისა საქმჲ, გამოირჩიეთ სამართალი, ივსნიდით დაწუნებულთა, უსაჯეთ, ობოლსა და განამართლეთ ქვრივი. და მივედით და შევიტყუნეთ, – იტყვს უფალი, – და უკუეთუ ცოდვანი თქუენნი, ვითარცა ღებინი, ვითარცა თოვლი განვასპეტაკო; დადათუ იყვნენ, ვითარცა მეწამულნი, ვითარცა მატყლი განვასპეტაკო; და უკუეთუ გინდეს და ისმინოთ ჩემი, კეთილსა ქუეყანისასა შჭამდეთ; უკუეთუ არა ინებოთ არცა ისმინოთ ჩემი, მახვლმან შეგჭამნეს თქუენ, რამეთუ პირი უფლისაჲ იტყოდა ამას“ (ესაია 1.16-20. „ომკუერი ბიბლია“).

მიგვიძღვის.

შევხედოთ მათ, რომლებიც სრულყოფილად ემსახურნენ მის დიდადმშვენიერ სახელს.¹ ავიღოთ ენოქი, რომელიც თავისი მორჩილებით აღმოჩნდა მართალი, რამეთუ გარდაცვალა² იგი ღმერთმან და არავის უნახავს მისი სიკვდილი.³

ნოე მორწმუნე აღმოჩნდა, რომელმაც თავისი მოღვაწეობით⁴ ქვეყნიერებას განახლება უქადაგა და მის მიერ იხსნა მეუფემ ისინი, რომლებიც [მასთან ერთად] ერთსულოვნად შევიდნენ კიდობანში, რათა ცოცხალნი დარჩენილიყვნენ.⁵

თავი X

ჭბრაამი, [ღვთის] მეგობრად სახელდებული, მორწმუნე აღმოჩნდა, როდესაც იგი მორჩილი გაუხდა ღვთის სიტყვებს. მორჩილების გამო გამოვიდა ის თავისი ქვეყნიდან, თავისი სანათესაოდან და თავისი მამის სახლიდან, რათა მცირე ქვეყნის, უძლური ნათესაობის და მცირე სახლის დატოვებით ღვთის აღთქმათა მეპყვიდრე გამხდარიყო. ვინაიდან ასე მიმართავს მას ღმერთი: „გამოდი შენი ქვეყნიდან, შენი ნათესაობიდან და შენი მამის სახლიდან იმ ქვეყნისკენ, რომელსაც გიჩვენებ და

1 შდრ. II პეტრე 1.17.

2 აღნიშნული სიტყვის ბერძნული შესატყვისია *metatithmi* 9.3, რომელიც წარმოდგენილია აორისტის ფორმით “*meteteqh*“ და აღნიშნავს გადაადგილებას, ადგილის შენაცვლებას. იგულისხმება, რომ ენოქი ადგილშენაცვლებულია, მიფარულია ჩვენგან და ღვთივგანგებულ ადგილას იმყოფება.

3 შდრ. დაბ. 5.24.

4 აღნიშნული სიტყვის შესატყვისად ბერძნულში გვაქვს: *leitourgia*~ 9.4 (ლიტურგია), რაც მოცემულ კონტექსტში აღნიშნავს „მსახურებას“, „მოღვაწეობას“.

5 შდრ. დაბ. 6.8-9,17; II პეტრე 2.5.

გაქცევ შენ დიდ ხალხად და ვაკურთხებ შენ და განვადიდებ შენს სახელს და იქნები კურთხეული და ვაკურთხებ შენს მაკურთხევლებს და დავწყევლი შენს დამაწყევართ და შენში იკურთხება მიწის ყოველი ტომი“.¹ და კვლავ, როდესაც განეშორა ის ლოტისაგან, უთხრა მას ღმერთმა: „აღიხილე შენი თვალებით და მიმოიხილე ამ ადგილიდან, სადაც ახლა შენ ხარ, ჩრდილოეთისა და სამხრეთისაკენ, აღმოსავლეთისაკენ და ზღვისკენ, რადგან მთელ ამ მიწას, რომელსაც ხედავ, შენ მოგცემ და შენს შთამომავლობას უკუნისამდე. და გავამრავლებ შენს მოდემას როგორც ქვიშის მიწას. თუ ძალუძს ვინმეს აღრაცხოს მიწა ქვიშისა, შენი შთამომავლობაც აღირაცხება“.² და კვლავ ამბობს: „გამოიყვანა ღმერთმა აბრაამი და უთხრა მას: „აღიხილე ზეცად და აღრიცხე ვარსკვლავები, თუ შეგიძლია მათი აღრიცხვა. ასევე იქნება შენი შთამომავლობაც“.³ ხოლო აბრაამი ერწმუნა ღმერთს და შეერაცხა მას სიმაართლედ“.³

რწმენისა და სტუმართმოყვარეობის⁴ გამო მიეცა მას შვი-

1 შდრ. ძვ. ქართ. თარგმანი; „გამოვედ ქუეყანისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა და მოვედ ქუეყანად, რომელიცა გიჩუენო შენ. და გყო შენ ნათესავად დიდად, და ვაკურთხო შენ, და განვადიდო სახელი შენი, და იყო კურთხეულ. და ვაკურთხნე მაკურთხევლები შენნი და მწყევარნი შენნი ვწყევნე, და იკურთხეოდინ შენდამი ყოველნი ტომნი ქუეყანისანი“ (შესაქმე 12,1-3; იხ. „წიგნი ძუელისა აღთქუმისანი“, ნაკვეთი I, თბ., 1989).

2 შდრ. შესაქმე 13, 14-16; იხ. ძვ. ქართული თარგმანი: „მაშინ ჰრქუა ღმერთმან აბრამს შემდგომად განშორებისა მის ლოტისა მისგან: აღიხილენ თუალნი შენნი და იხილე მაგიერ ადგილით, სადა-ევე ხარ შენ აწ, ბლუარადკერძო და ჩრდილოდ, აღმოსავალად და ზღუად. ყოველსა ქუეყანასა, რომელსა შენ ჰხედავ, შენ მიგცე იგი და ნათესავსა შენსა უკუნისამდე. და ვყო ნათესავი შენი, ვითარცა ქვშაჲ ქუეყანისაჲ. უკუეთუ ვინმე უძლოს ქვიშაჲ ქუეყანისაჲ აღრაცხად, ნათესავიცა შენი აღრაცხოს“.

3 შდრ. ძვ. ქართ თარგმანი: „და განიყვანა იგი გარე და ჰრქუა მას: აღიხილენ ცად მიმართ და აღრაცხენ ვარსკვლავნი, უკუეთუ ძალ-გიც აღრაცხა მათი. ესრეთ იყოს თესლი შენი. და ჰრწმენა აბრამს ღმრთისა და შეერაცხა მას სიმაართლედ“ შესაქმე 15.5-6.

4 იგულისხმება სამი ანგელოზის სტუმრობა აბრაამთან (შდრ. დაბ. თ. 18)

ლი მოხუცებულობაში და მან მორჩილების გამო შესაწირ მსხვერპლად მიჰგვარა იგი ღმერთს ერთ-ერთ მთაზე, რომელიც უჩვენა მას.¹

თავი XI

სტუმართმოყვარეობისა და კეთილმორწმუნეობის გამო გადარჩა ლოტი სოდომიდან, როდესაც მთელი შემოგარენი დაისაჯა ცეცხლით და წუმწუბით,² რითაც ცხადყო მეუფემ, რომ არ ტოვებს მისდამი მსასობლებს, ხოლო სხვად მიდრეკილთ³ სასჯელსა და ტანჯვას განუკუთვნებს. მასთან ერთად გამოსული მისი ცოლი, რომელიც სხვას განიზრახავდა და არ იყო მასთან თანხმობაში, მარილის სვეტად არის ქცეული დღევანდელ დღემდე⁴ ნიშნად იმისა, რომ შეიცნოს ყველამ: მერყევი და ღვთის ძალაში დაეჭვებულნი სასჯელად და სანიშნედ ხდებიან ყოველი თაობისათვის.

თავი XII

წმინდისა და სტუმართმოყვარეობის გამო გადარჩა მეძა-

1 შდრ. შესაქმე 22, 1-18.

2 შდრ. შესაქმე თ. 19; შდრ. II პეტრე 2,6-7.

3 ბერძნულში გვაქვს: *e̅teroklinei*~ 11.1, რაც მოცემულ კონტექსტში გულისხმობს ცოდვისკენ მიდრეკილს.

4 იოსებ ფლავიოსს უნახავს ეს სვეტი (იხ. „მოთხრობანი იუდაებრივისა ძუელსიტყვაობისანი“, I, ტექსტი გამოსცა ნ. მელიქიშვილმა, „მეცნიერება“, 1987, გვ. 112 (წ. I, თ. 11,4). წმ. ირინეოს ლიონელიც მოწმობს ამ სვეტის არსებობას მის დროს (იხ. მისი შრომა „ერესების წინააღმდეგ“ IV.31).

ვი რააბი.¹ როდესაც მზვერავები წარავლინა ისუ ნავეს ძემ იერიქოში, იმ ქვეყნის მეფემ შეიტყო, რომ მათი მხარის დასაზვერად იყვნენ მოსულები და გაგზავნა კაცები მათ შესაპყრობად, რომ დატყვევებულნი, მოეკვდინებინათ, მაგრამ სტუმართმოყვარე რააბმა შეიფარა ისინი და დამალა სელის ლერწმის ქვეშ, სხვენში. წარუდგნენ მეფის წარგზავნილები და უთხრეს: „შენთან შემოვიდნენ ჩვენი ქვეყნის მზვერავნი, გამოიყვანე ისინი, რადგან მეფე ბრძანებს ასე“; ხოლო მან მიუგო: „მართლაც შემოვიდნენ ჩემთან კაცები, რომლებსაც თქვენ ეძებთ, მაგრამ მალევე წავიდნენ და მიდიან ამ გზით“ — და საპირისპიროდ უჩვენა მათ, ხოლო მასთან მყოფთ უთხრა: „გულისხმა-ყვავ, რომ უფალი ღმერთი გაძლევთ თქვენ ამ ქვეყანას, რადგან თქვენმა შიშმა და ძრწოლამ მოიცვა ამ მიწის მკვიდრნი, ამიტომ, როგორც კი ეს მოხდება და თქვენ მიიღებთ მას, მიხსენით მე და სახლი მამისა ჩემისა“. და მათ კი ასე მიუგეს: „იქნება ისე, როგორც გვითხარი ჩვენ. როცა გაიგებ, რომ მოვედით, შეკრიბე ყველა შენიანი შენს ჭერქვეშ და გადარჩებიან, რადგან სახლის გარეთ დარჩენილები დაიღუპებიან“. და შეუთანხმდნენ მას, მოეცა ნიშანი: გადმოეფინა მისი სახლიდან მეწამული რამ.² ამით წინდაწინ გაცხადდა, რომ უფლის [იესო ქრისტეს] სისხლით იქნებოდა გამოხსნა ყველასი, ვისაც სწამს და სასოება აქვს ღვთისა“.

ნახეთ, საყვარელნო, არა მხოლოდ რწმენა, არამედ წინასწარმეტყველებაც გამოჩნდა ამ ქალში.

1 შდრ. ისუ ნავე თ. II.

2 მისტიკური განმარტება იმ ნიშნისა, რომლითაც გადარჩა მეძავი რააბი, გვხვდება წმ. იუსტინე მარტვილთან (იხ. დიალოგ. ტრიფ. II,3), წმ. ირინეოს ლიონელთან (იხ. „ერეს. წინააღმდ.“ IV,20) და სხვებთან.

თავი XIII

ჭმრივად, დავმდაბლდეთ, ძმებო, განვაგდოთ ყოველგვარი ზვაობა, ქედმაღლობა, უგუნურება, რისხვა და აღვასრულოთ წერილი, რადგან ასე ამბობს სულიწმიდა: „ნუ იქადის ბრძენი თავისი სიბრძნით, ნურც ძლიერი — თავისი ძალით, ნურც მდიდარი — თავისი სიმდიდრით, არამედ ვინც იქადის, უფლის მიერ იქადოს, რომ მოიძიოს იგი და აღასრულოს მსჯავრი და სამართლიანობა“.¹

განსაკურთებით გვახსოვდეს უფალ იესოს სიტყვები, რომლებიც მან წარმოთქვა, ასწავლიდა რა მორჩილებასა და სულგრძელებას, რადგან ასე თქვა: „შეიწყალეთ, რომ შეგიწყალონ; მიუტევეთ, რომ თქვენც მოგეტევოთ; როგორც მოექცევით, ისე მოგექცევიან თქვენ; როგორც გაცემთ, იმგვარად მოგეცემთ თქვენ; როგორც განსჯით, ისე განისჯებით; როგორც კეთილს-უყოფთ, ისე კეთილს-გიყოფენ თქვენ; რა საზომითაც გაზომავთ, იმითვე გაიზომება თქვენთვის“.²

ამ მცნებითა და შეგონებებით განვიმტკიცოთ თავი, რომ სიმდაბლით წარვემართოთ სიწმინდისღირსი სიტყვების მორჩილებაში, რადგან წმინდა [წერილი] ამბობს: „ვის მივხედავ, თუ არა მშვიდს, მყუდროსა და ჩემი სიტყვების მოშიშს?“³

1 იერ. 9.22-23. I მეფ. 2.10; შდრ. I კორ. 1.31; II კორ. 10.17.
2 შდრ. მათე 5.7; 6.12.14; მარკ. 11.25; მათე 7.1-2.12; ლუკა 6.37-38.31; მარკ. 4.24.
3 ესაია 66.2.

თავი XIV

ჭმრივად, კაცნო ძმანო, მართებულია და ღირსეული, მორჩილნი გავხდეთ უფრო მეტად ღვთისა, ვიდრე მათი, რომლებიც მოთავენი არიან ქედმაღლობასა და მძულვარე შურის მშფოთვარებაში, რადგან არცთუ უმნიშვნელო ვნებას, უფრო მეტად კი ღიდ ხიფათს დავიტენთ თავზე, თუ გამეტებით მივეცემით იმ ადამიანთა ნება-სურვილებს, რომლებიც გვაქეზებენ განხეთქილებისა და ამბოხისაკენ, სურთ რა, რომ განგვაშორონ დაწყნარებულ მდგომარეობას. სიკეთით ურთიერთშევეტკბოთ მსგავსად ჩვენი შემოქმედის კეთილმოწყალებისა და სიტკბოებისა, რადგან დაწერილია: „კეთილნი დამკვიდრდებიან ქვეყანაზე, უმანკონიც დაეშენებიან მასზე, ხოლო უსჯულონი აღიხოცებიან მისგან“.¹ და კვლავ ამბობს: „ვიხილე უღმრთო ამაღლებული და აზიდული, როგორც ნაძვები ღიბანისა და ჩავუარე და აჰა, არ იყო. ვეძებე მისი ადგილი და ვერ ვპოვე. დაიცავი უმანკოება და იხილე სიწორეფლე, რადგან აქვს მშვიდობისმყოფელ ადამიანს დანატოვარი“.²

თავი XV

ჭმრივად, შევუერთდეთ მათ, რომლებიც კეთილმორწმუნეობით იცავენ მშვიდობას და არა მათ, რომლებსაც თვალთმაქცურად უნდათ მშვიდობა, რადგან წერილი საღლაც ამბობს: „ეს ხალხი ბაგეებით ჰატივს მცემს მე, ხოლო მათი გული შორს არის გამდგარი ჩემგან“.³ და კვლავ ამბობს: „მათი

1 ივ. 2.21-22; შდრ. ფს. 36.9, 38.

2 ივულისხმება შთამომავლობა, ფს. 36,35-37.

3 ესაია 29.13; მათე 15.8.

პირით აკურთხებენ, ხოლო გულით სწყევლიან“¹. და კიდევ: „შეიყვარეს იგი მათი პირით, ხოლო მათი ენით ეცრუვნენ მას, გული მათი კი არ იყო წრფელი მის მიმართ, არც მის აღთქმას ერწმუნენ“². ამის გამო „უტყვი გახდება მზაკვარი ბაგეები, უსჯულოების მეტყველნი მართლის წინააღმდეგ“³ და კვლავ: „წარწყმდიღოს უფალმა ყოველი ბაგე მზაკვარი და ენა მედიდურად მეტყველი, თქვეს რა: განვადილოთ ჩვენი ენა, ჩვენი ბაგენი ჩვენთან არის და ვინ არის ჩვენი უფალი? გლახაკთა გასაჭირისა და ღარიბთა გოდების გამო ახლა აღვდგები, ამბობს უფალი: ხსნაში დავამკვიდრებ მათ და გავცხადლები მასში“⁴.

თავი XVI

წადგან ქრისტე მდაბალთათვის არის და არა მათთვის, რომლებიც დიდგულობენ მის სამწყსოზე. ღვთის სიდიადის კვერთხი, უფალი იესო ქრისტე არ მოსულა ქედმაღლური მედიდურობით, არც ამპარტაუნებით, თუმც კი შემძლე იყო, არამედ – სიმდაბლით, როგორც წმინდა სულმა თქვა მის შესახებ, ამბობს რა: „უფალო, ვინ ერწმუნა ჩვენს ნათქვამს და უფლის მკლავი ვის გამოეცხადა? განვაცხადებთ მას როგორც ყრმას მის წინაშე, როგორც ფესვს გვალვიან მიწაში; არა აქვს მას სახე, არც ღიდება. და ვიხილეთ იგი და არ ჰქონდა სახე, არც მშვენება, არამედ მისი სახე უპატიო იყო, მოკლებული ადამიანთა სახეს; ადამიანი წყლულებასა და ტკივილში იყო და იცოდა დათმენა უძღურებისა, რადგან უკუ-მიიქცა მისი პირისახე, უპატიო-იქმნა და არ შეირაცხა. იგი იტვირთებს

1 ფს. 61.5.

2 ფს. 77.36-37.

3 ფს. 30.19.

4 ფს. 11.4.6.

ჩვენს ცოდვებს და ჩვენს გამო ეწამება; ჩვენ კი შევრაცხეთ იგი ტანჯვაში, წყლულებასა და უკეთურებაში მყოფად. ხოლო იგი იგვემა ჩვენი ცოდვების გამო და უძღურება იტვირთა ჩვენი უსჯულოებებისათვის. ჩვენი მშვიდობის სწავლა მასზეა, მისი წყლულით ჩვენ განვიკურნეთ. ყველა ცთომილი ვიყავით, როგორც ცხვრები. ადამიანი შეცდა თავის გზაზე და უფალმა მისცა იგი ჩვენი ცოდვებისათვის და ის შეურაცხყოფათა გამო არ ხსნის ბაგეს. როგორც ცხვარი, დასაკლავად მიყვანილ იქნა და როგორც უხმო კრავი მპარსველის წინაშე, იმგვარად არ ხსნის თავის პირს. სიმდაბლით აღიხოცა მისი მსჯავრი. მის შთამომავლობას ვინ მიუთხრობს? რადგან აღებულია მიწისაგან მისი ცხოვრება. ჩემი ხალხის უსჯულოებების მიხედვით მიდის სიკვდილისკენ. და მივაგებ უკეთურთ მისი საფლავის წილ და მდიდრებს — მისი სიკვდილის წილ, რადგან უსჯულოება არ ჩაუდენია, არც მზაკვრობა არ ჰქონია მის ბაგეს და უფალს ნებავეს, რომ განწმიდოს იგი წყლულისგან. თუკი მისცემთ ცოდვის გამო, თქვენი სული იხილავს დღეგრძელ შთამომავლობას. და უფალს ნებავეს, რომ მისი სული განარიდოს ტანჯვისაგან და უჩვენოს მას ნათელი და მიჰმადლოს გულისხმა, რომ განამართლოს მართალი, რომელიც კეთილად ემონება მრავალთ და მათ ცოდვებს იგი იტვირთებს. ამის გამო ის მრავალთ იმემკვიდრებს და დანაწილებს ძლიერთა ნადავლს, რომელთა გამო სიკვდილს მიეცა მისი სული და უსჯულოთა შორის შეირაცხა. და მან მრავალთა ცოდვები იტვირთა და მათი ცოდვების გამო მიცემულ იქნა.¹ და კვლავ ამბობს: „ხოლო მე მატლელი ვარ და არა ადამიანი, საყვედრელ ადამიანთა და არარაობა ხალხისა. ყოველმა ჩემმა მხილველმა დამცინა მე: იმეტყველეს ბაგეებით, გადააქნიეს თავი: „უფალს სასოებდა, იხსნას ის, გადაარჩინოს, რადგან სათნოა მისთვის“.²

ნახეთ, საყვარელნო, რა მაგალითია მოცემული ჩვენთვის,

1 ესაია 53.1-12; შდრ. მსაჯ. 8.32-33.

2 ფს. 21.7-9; შდრ. მარკ. 15.29; მათე 27.43.

რადგან თუ უფალმა ასე დაიმდაბლა თავი, რა უნდა ვქნათ ჩვენ, რომლებიც მის მიერ შემოვედით მისი მადლის უღელქვეშ?

თავი XVII

მეგობრობით მათაც, რომლებიც თხისა და ცხვრის ტყავებით შემოსილნი მიმოდოდნენ და ქადაგებდნენ ქრისტეს მოსვლას. ხოლო ვამბობთ ელიასა და ელისეს, კიდევ იეზუკიელს, წინასწარმეტყველთ, მათაც, რომლებმაც სწამეს იგი.¹

დიდად იწამა² აბრაამი და ღვთის მეგობრად იწოდა და ჭვრეტს რა იგი ღვთის დიდებას, ამბობს: „ხოლო მე მიწა ვარ და ნაცარი“.³ კიდევ იობის შესახებ ასე წერია: „ხოლო იობი იყო მართალი და უბიწო, ჭეშმარიტი, ღვთისმსახური, განშორებული ყოველგვარი ბოროტისაგან“,⁴ მაგრამ იგი საკუთარ თავს ადანაშაულებს და ამბობს; „არავინ არის ბიწისაგან წმინდა, თუნდაც რომ ერთი დღე იყოს სიცოცხლე⁵ მისი“. მოსე „მთელ მის სახლში სარწმუნოდ“⁶ იწოდა და მისი, როგორც მსახურის⁷ მეშვეობით სჯიდა ღმერთი ეგვიპტეს სატანჯველთა და სასჯელთა მიერ, მაგრამ იგი, ესოდენ განდიდებული, არ ცუდმედიდობდა, არამედ ასე თქვა მაშინ, როცა მაცვლიდან წინასწარუწყება მიეცა: „ვინ ვარ მე, მე რომ მგ-

1 ბერძნულში გვაქვს memarturhmenou~ 17.1, რაც აღნიშნავს მოწმობას, დამოწმებას.

2 დასტური მიიღო, დამოწმებულ იქნა emarturhqe 17.2.

3 შესაქმე 18.27; შდრ. ებრ. 11.37.

4 იობი 1.1.

5 იობი 14.4-5.

6 რიცხ. 12.7; შდრ. ებრ. 3.2-5.

7 სიტყვ. „მისი მსახურობის (uphresia~) 17.5 მიერ“.

ზავნი? მე ხმაწვრილი და ენამძიმე ვარ“.¹ და კვლავ ამბობს: „ხოლო მე ჭურჭლიდან ამოსული ორთქლი ვარ“.²

ქვე XVIII

ნა უნდა ვთქვათ ღვთივდამოწმებულ³ დავითზე? მისდამი თქვა ღმერთმა: „ვპოვე კაცი ჩემი გულისებრ, იესეს დავითი, საუკუნო წყალობით ვცხე მას“.⁴ მაგრამ თავად ის ასე ამბობს ღვთის მიმართ; „მიწყალე მე, ღმერთო, შენი დიდი წყალობით და შენი მრავალი მოწყალებით აღზოცე ჩემი უსჯულოება. უმეტესად განმბანე მე ჩემი უსჯულოებისაგან და ჩემი ცოდვისაგან განმწმინდე მე, რადგან ვიცი მე ჩემი უსჯულოება და ჩემი ცოდვა ჩემს წინაშეა მუდამ. მხოლოდ შენ შეგცოდე და

1 გამ. 3.11; 4.10.

2 როგორც წმ. კლიმენტი რომაელის ფრანგული ტექსტის გამოძეგმელი, ა. ჟობერი, მიუთითებს, ციტატის წყარო უცნობია. მისი შენიშვნით, წმ. კლიმენტი, ალბათ, სარგებლობდა მოსეს ცხოვრების აპოკრიფით. შესაძლოა, ეს აპოკრიფი ყოფილიყო „მოსეს ამაღლება“, რაც მხოლოდ ფრაგმენტულადაა მოღწეული. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში საქმე უნდა გვექნდეს დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნის სიტყვების ზეპირ ციტირებასთან (შდრ. ფს. 38,6,12). ამგვარივე გამოთქმა ასევე გვხვდება წმ. იაკობ მოციქულთან (შდრ. 4,14). აღნიშნული სიტყვები უნდა გულისხმობს პიროვნების თვითდამდაბლების გამოხატულებას ღვთის წინაშე. მსგავსი შინაარსისაა წმ. იაკობ მოციქულის ეპისტოლეში დადასტურებული სწავლება, სადაც, ასევე, გამოყენებულია სიტყვა αἵμι-, რომელიც აღნიშნავს „ორთქლს“, „კვამლს“: „რომელთა-ეგე არა იცით ზვალისაჲ, რამეთუ ვითარი არს ცხორებაჲ თქუენი? ვითარცა კუამლი ხართ, რომელი მცირედ ჟამ ჩანს და მერმე განქარდის“ 4.14.

3 memarturhmeno- 18.1 – გულისხმობს პირს, ვისაც ღვთის სათნოყოფის დასტური, მოწმობა, ნიშანი მიეცა ღვთისაგანვე. ვინაიდან აღნიშნული ტერმინი უთუოდ ღვთისგან დამოწმებულ პირს გულისხმობს, უმჯობესად მივიჩნიეთ, ყველგან გვეთარგმნა იგი როგორც „ღვთივდამოწმებული“.

4 მსაჯ. 13.22; შდრ. ფს. 88-21; I მეფ. 13.14.

ბოროტება შენს წინაშე ჩავიდინე, რომ განმართლდე შენს სიტყვებში და გაიმარჯვო შენს მსჯავრში. რადგან, აჰა, უსჯულულებაში ჩავისახე და ცოდვებში მშვა მე ჩემმა დედამ. რადგან, აჰა, ჭეშმარიტება შეიყვარე, უხილავნი და დაფარულნი შენი სიბრძნისა გამიცხადე მე. მასხურე მე უსუპი და გავიწმინდები, განმბანე მე და თოვლზე მეტად განვსპეტაკდები. მასმენინე მე სიხარული და მხიარულება, გაიხარებენ დამდაბლებული ძვლები. გარე-მიატციე პირი შენი ჩემი ცოდვებისაგან და ყოველი ჩემი უსჯულოება აღხოცე. წმინდა გული შექმენი ჩემში, ღმერთო, და წრფელი სული განაახლე ჩემს შიგნით. ნუ განმაგდებ მე შენი სახისაგან და შენს წმინდა სულს ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეცი მე შენი მაცხოვარების სიხარული და წინამძღვრული სულით განმამტკიცე მე. ვასწავლი უსჯულოებს შენს გზებს და უღმრთონი შენსკენ მოიქცევიან. მიხსენი მე სისხლთაგან, ღმერთო, ღმერთო ჩემი ხსნისა. გაიხარებს ჩემი ენა შენი სამართლიანობით. უფალო, ბაგენი ჩემი აღახვენ და პირი ჩემი აღმოთქვამს შენს ქებას, რადგან რომ გენება მსხვერპლი, შემოგწირავდი, მაგრამ ყოვლადდასაწველს არ ისათნობ. მსხვერპლი ღვთისადმი არის სული შემუსრვილი; გულს, შემუსრვილს და დამდაბლებულს, ღმერთი არ შეუარაცხოვს“.¹

თავი XIX

ჭმრიგად, სიმდაბლემ და მორჩილმა უდრტვინველობამ, აგრერიგად ღვთივდამოწმებული ამდენი და ამგვარი ადამიანისა, უკეთესნი გავგზადა არა მხოლოდ ჩვენ, არამედ, აგრეთვე, ჩვენზე უწინარესი თაობები, რომლებმაც კი შეიწყნარეს მისი სიტყვები შიშითა და ჭეშმარიტებით.

ამიტომ, ვეზიარეთ რა მრავალ დიდსა და დიდებულ საქმეს,

1 ფს. 50.3-19.

მივუბრუნდეთ თავდაპირველად ჩვენს წინაშე დასასხულ მშვიდობის მიზანს, ავიხედოთ მამისა და მთელი სამყაროს შემოქმედისაკენ, შევენაწევროთ მის დიდადმშვენიერ და ზეალმატებულ სამშვიდობო საბოძვართ, მის კეთილქმედებებს. ვჭვრეტდეთ მას გონებითა და სულის თვალებით. გულისხმავყოთ მისი სულგრძელი ნება. შევიცნოთ, როგორ ურისხველად ჰგვიეს მთელი თავისი შესაქმისადმი.

თავი XX

წანი, მისი განგებით შეძრულნი, სიმშვიდით ემორჩილებიან მას. დღეც და ღამეც მის მიერ დაწესებულ სვლას ასრულებენ და არაფრით აფერხებენ ერთმანეთს. მზე, მთვარე და ვარსკვლავთა გუნდები მისი განწესების შესაბამისად თანხმობით, ყოველგვარი გადახვევის გარეშე, შემოწერენ მათთვის განჩინებულ საზღვრებს. მისი ნებით ნაყოფის გამომღებელი მიწა თავ-თავის დროს აღმოუცენებს მრავალგვარ საზრდოს აღამიანებს, ცხოველებს და მასზე მყოფ ყველა ცოცხალ არსებას, არ უპირისპირდება, არც ცვლის რაიმეს მის მიერ დადგენილთაგან. უსაზღვრო ზღვის მოცულობა, შექმნიდანვე თავის საცავებში შეყენებული, არ გადადის მის გარემომცველ საზღვრებს, არამედ როგორც დაუწესა მას [უფალმა გ.ზ], ისე მოქმედებს, რადგან უთხრა: „აქამდე მოაღწევ და შენში დაიმსხვრევა შენი ტალღები“.¹

1 შდრ. ძვ. ქართ. თარგმ.: „აქამოდე მოხვდე და არა გარდაჰვდე, არამედ შენზედვე შეიმუსრნენ ღელვანი შენნი“ (იობი 38.11. იხ. „მცხეთური ხელნაწერი“, თბილისი, 1983 წ., გვ. 143).

ადამიანთაგან გადაულახავი¹ ოკეანე და მის მიღმა ქვეყნები² მეუფის ამავე განწესებით განეგებიან. გაზაფხულის, ზაფხულის, შემოდგომის და ზამთრის დროები მშვიდობიანად ენაცვლებიან ერთმანეთს. ქართა სადგომები მათთვის განწესებულ დროს დაუბრკოლებლად ასრულებენ თავიანთ მსახურებას. დაუშრობელი წყაროები, შვებისა და ჯანმრთელობისათვის შექმნილნი, დაუკლებლად აწვდიან ადამიანებს სიცოცხლის კერტებს. ცხოველთაგან ყველაზე მცირენიც კი ურთიერთანხმობითა და მშვიდობით თანაარსებობენ.

ყველაფერ ამას დიდმა შემოქმედმა და ყოველთა მეუფემ მშვიდობით და თანხმობით ყოფნა დაუწესა, კეთილმოქმედი რა ყველას მიმართ, განსაკუთრებით კი ჩვენდამი, რომლებიც ვეშურებით მის მოწყალებებს ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ, დიდება მისდა და დიდებულება უკუნითი უკუნისამდე. ამინ!

თავი XXI

ჴაფვრთხილდეთ, საყვარელო, რომ მისი მრავალი კე-

1 aperanto~ – ნიშნავს როგორც „დაუსრულებელს“, „უკიდებანოს“, ასევე – „გაუღწეველს“, „გადაულახავს“, ძვ. ქართ. „წიაღუვლელს“. ა. ჟობერის შენიშვნით, შესიტყვება გადაულახავი ოკეანე“ გვხვდება ორიგენესთან, წმ. დიონისე ალექსანდრიელთან, კოზმა ინდიკოპლესტთან, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ოკეანის გადაულახავობაზე, გადაუსვლელობაზე.

2 ა. ჟობერი შენიშნავს: „რომელია ეს ქვეყნები ოკეანის მიღმა? არის აქ გამოძახილი ლეგენდარული ატლანტიდის შესახებ, რომელიც ჩაიძირა ზღვაში ჰერკულესის სვეტების მიღმა (ტიმაიოსი 24c-25d; კრიტია, 113c ს.). ანტიკურ ავტორებთან არსებობს ბუნდოვანი მინიშნებები იმ კუნძულების თუ კონტინენტების შესახებ, რომლებიც დაფარული არიან ატლანტის ოკეანეში (ფს. არისტოტელე, სამყაროს შესახებ. 3; სენეკა, მედეა, 2.375). ამასთან, სტრაბონი (გეოგრაფია, I,1.8), არისტოტელე (ცის შესახებ II, 14=298a; მეტეორ. II. 5=362b) სარწმუნოდ მიიჩნევენ, რომ ოკეანე უწყვეტად განივრცობოდა ინდოეთამდე“ (p.135, შენ.4).

თილქმედება სასჯელად არ გვექცევს ჩვენ, თუ მის საკადრისად არ ვიღვავებით და ერთსულოვნებით არ აღვასრულებთ მას, რაც სათნოა და მშვენიერი მის წინაშე. რადგან სადღაც ამბობს: „უფლის სული ღამპარია, რომელიც გამოიკვლევს მუცლის სიღრმეებს“.¹ ვნახოთ, როგორ ახლოს არის ის და რომ არაფერია მისთვის დაფარული, რასაც კი ვფიქრობთ და განვიზრახავთ.

ამრიგად, სამართლიანი იქნება, რომ არ უგულვებელგვყოთ² ღვთის ნება. უმჯობესია, დავუპირისპირდეთ უგუნურ, უმეცარ და გაამპარტავებულ ადამიანებს, რომლებიც სიტყვებით ქედმაღლობენ, ვიდრე — ღმერთს. შევეკრძალოთ უფალ იესო ქრისტეს, ვისი სისხლიც ჩვენთვის იქნა გაღებული. მოწიწებით განვიმსჭვავლოთ ჩვენი წინამძღვრების მიმართ, პატივი მივაგოთ ხუცესებს, აღვზარდოთ ახალგაზრდები ღვთის შიშის სწავლებით. ჩვენი ცოლები სიკეთისაკენ წარვმართოთ, რომ უბიწოების ღირსადსაყვარელი ჩვეულება გამოავლინონ, წარმოაჩინონ მათი უბიწო ნება მორჩილებისა, ღუმილის მიერ ცხადყონ მათი ენის თვინიერება, ხოლო მათი სიყვარული არა მიკერძოებით, არამედ თანაბრად და წმინდად მიანიჭონ ყველას, ვინც მოშიშია ღვთისა. ჩვენი შვილები ეზიარონ ქრისტეს-მიერ აღზრდას და ისწავლონ, თუ რა ძალა აქვს სიმდაბლეს და რა შეუძლია წმინდა სიყვარულს ღვთის წინაშე, როგორი მშვენიერი და დიდებულია ღვთის შიში, როგორ აცხოვნებს იგი ყველას, ვინც სპეტაკი გონებით წმინდად მკვიდრობს მასში. რადგან ღმერთი გამომეძიებელია აზრებისა და განზრახვებისა. მისი მობერვა³ ჩვენშია და როცა ინებებს, წაიღებს მას.

1 ივ. 20,27.

2 leipotaktein 21.4 — სამხედრო ტერმინია და აღნიშნავს ღვთის-ტირობას, აქ იგი მოხმობილია მორალური ღვთისტირობის გამოსახატავად.

3 ბერძნულში გამოყენებულია სიტყვა ἡπιότης, რაც მოცემულ კონტექსტში გულისხმობს სულიწმინდის მადლს.

თავი XXII

ხოლო ამას ყველაფერს მტკიცეპყროფს ქრისტეში რწმენა, რადგან თავადაც ასე მოგვიწოდებს ჩვენ სულიწმიდის მიერ: „მოდით, შვილებო, ისმინეთ ჩემი, უფლის შიშს გასწავლით თქვენ. ვინ არის ადამიანი, ვისაც სურს სიცოცხლე, ვისაც უყვარს კეთილ დღეთა ხილვა? დააცხრე შენ ენა ბოროტისაგან და შენი ბაგე ნუ იტყვის მზაკვრობას. მოიქეცი ბოროტისაგან და ჰქმენი სიკეთე. ეძიე მშვიდობა და შეუდექი მას. თვალნი უფლისანი – მართალთა ზედა და ყურნი მისნი – მისდამი მვედრებელთა მიმართ, ხოლო პირი უფლისა – მათზე, რომლებიც ბოროტს ჰყოფენ, რომ აღიხოცოს ქვეყანისაგან მათი სახსენებელი. აღმოთქვა მართალმა და უფალმა შეისმინა მისი, იხსნა იგი ყოველი მისი გასაჭირისგან“.¹ „მრავალი ტანჯვა ექნება ცოდვილს, ხოლო მათ, რომლებიც უფალს სასოებენ, წყალობა მოიცავს“.²

თავი XXIII

ქოვლითურთ მოწყალე და კეთილისმოქმედი მამა ლმობიერია მისდამი მოშიშთა მიმართ; ტკბილად და კეთილად მიუბოძებს თავის მადლს,³ ვინც წრფელი გონებით მიდის მასთან. ამიტომ ნუ ვმერყეობთ, ნურც რაიმედ წარმოიდგენს თავს ჩვენი სული უფლის ზეადმატებულ და დიდებულ საბოძვართა გამო. შორს იყოს ჩვენგან ის, რის შესახებაც ამბობს წმინდა წერილი: „უბედურნი არიან მერყევენი, სულით დაეჭვებულნი, რომლებიც ამბობენ: ეს გვესმოდა ჩვენი მამების დროსაც და,

1 ფს. 33.12-13.

2 ფს. 31.10.

3 ბერძნულში არის: „მადლებს“ – ta~ carita~ 23.1.

აჰა, დავბერდით და არაფერი ამგვარი არ მოწვევნილა ჩვენზე“.¹ „პოი, უგუნურნო, შეადარეთ ხეს თქვენი თავი: აიღეთ ვენახი. პირველად ფოთოლი ცვივა, შემდეგ კვირტი იქმნება, შემდეგ – ფოთოლი, შემდეგ – ყვავილი და ამის შემდგომ – ისრიმი,² შემდეგ კი იძლევა მწიფე მტევანს“.³ ნახეთ, რომ მცირე დროში სიმწიფეს აღწევს ხის ნაყოფი. ჭეშმარიტად, უმაღლეს და მყის აღსრულება მისი ნება. წერილი⁴ თან ემოწმება, რომ „მაღლე მოვა და არ დააყოვნებს“;⁵ და „მყის მოვა უფალი თავის ტადარში და წმინდა, ვისაც თქვენ ელოდებით“.⁶

თავი XXIV

დაუკვირდეთ, საყვარელნო, თუ როგორ გამუდმებით გვიჩვენებს მეუფე,⁷ რომ იქნება სამომავლო აღდგომა, რომლის სათავედ მან ჰყო უფალი იესო ქრისტე, აღადგინა რა იგი მკვდრეთით.⁸ ვნახოთ, საყვარელნო, ჟამითი-ჟამად ქმნილი აღდგომა: დღე და ღამე გვიცხადებს ჩვენს აღდგომას, იძინებს ღამე, აღდგება დღე; გადავა დღე, მოიწევა ღამე. თუნდაც ნაყოფი ავილოთ, როგორ და რა სახით ხდება თესვა? გამოვიდა მთესველი და მიმოყარა მიწაზე ყოველი თესლი; ისინი, გამხმარნი და შიშველნი, მიწაზე დაცემისას იშლებიან, შემდეგ კი უფლის

1 წყარო უცნობია.

2 მწვანე მტევანია.

3 შდრ. კლიმენტი რომაელის II ეპისტ. თ. XI.

4 იგულისხმება წმ. წერილი ანუ „ბიბლია“.

5 ესაია 13.22; შდრ. ებრ. 10.37, ებრ. 2,3.

6 მალაქია 3.1. სეპტუაგინტაში არის არა „წმინდა“, არამედ „ანგელოზი აღთქმისა“.

7 oldespot h- 24.1 – გულისხმობს მამა ღმერთს, რომელმაც აღადგინა თავისი ძე მკვდრეთით.

8 შდრ. I კორ. 15.20-23.

წინაგანგების სიდიადე დაშლილობისაგან აღადგენს მათ და ერთისაგან მრავალ ნაყოფს აღმოაცენებს და გამოიღებს.

თავი XXV

წინახოთ აღმოსავლეთის, ესე იგი, არაბეთის მხარეებში ქმნილი საკვირველი ნიშანი. არის ფრინველი, რომელსაც ფენიქსი ეწოდება. იგი ერთადერთი იშვება და ცხოვრობს ხუთასი წელი, შემდეგ კი, როდესაც კვლამას უახლოვდება, თვით იკეთებს სამარეს საკმევლის, მირონისა და სხვა ნელსაცხებლებისაგან, სადაც მიდის, აღსრულდება რა ჟამი, და იქ კვდება. როდესაც ხორცი დალპება, იშვება რაღაც მატლი, რომელიც საზრდოობს მოძკვდარი ცხოველის სინოტივით, ფრთიანდება, შემდეგ კი, მომძლავრებული, აიღებს იმ სამარეს, სადაც მისი წინამორბედის ძვლებია, აზიდავს მას და არაბეთის ქვეყნიდან გადადის ეგვიპტეში, ეგრეთწოდებულ ჰელიოპოლისში; და დღისით, ყველას თვალწინ, მზის სამსხვერპლოზე აფრინდება, იქ დააწყობს ძვლებს და ასე უკან გაეშურება. ქურუმები შეისწავლიან ჟამთააღწერილობებს და აღმოაჩენენ, რომ ხუთასი წლის თავზე მოსულა იგი.¹

1 ქრისტიანულ მწერლობაში ესაა პირველი დამოწმება ფენიქსის ლეგენდისა; ხსენებული ლეგენდა მეტად გავრცელებული იყო. იგი გვხვდება ჰეროდოტესთან, პომპონიუს მელასთან, პლინიუს უფროსთან. ელინიზებულმა ებრაელებმა, როგორც ჩანს, ფენიქსის ლეგენდა უკვე შეიტანეს თავიანთ ისტორიაში. ქრისტიანობაში ეს ლეგენდა სრულად გვხვდება სახელგანთქმულ ძეგლში „ფიზიოლოგი“ (ძვ. ქართ. თარგმანში „მხეცთათვის სახისა სიტყუაჲ“). ლეგენდას ახსენებს ტერტულიანეც (de resurr. c. 13), რომელიც ფსალმუნის სიტყვებს: „მართალი ვითარცა ფინიკი აყვავდეს“ (ფს. 91.13) განმარტავს ფენიქსთან მიმართებაში. ლაქტანციუსი მიიჩნევს, რომ ხეს ფრინველისაგან ეწოდა ეს სახელი, ვინაიდან ამ ხის კენწეროზე თითქოს ვდებოდა ფენიქსი.

ჟავი XXVI

ჰმიტომ მივიჩნევთ, რომ დიდი და საკვირველი რამ იქნება, თუ ყოველთა შემოქმედი აღასრულებს მათ აღდგომას, რომლებიც კეთილი რწმენის გულდაჯერებით, წმინდად ემსახურებოდნენ მას. მაშინ, როდესაც თვით ფრინველის მიერაც გვიჩვენებს იგი მისი აღთქმის დიდებულებას, რადგან სადღაც ამბობს: „და აღმადგენ მე და გადიდებ შენ“¹ და „დავწექი და დავიძინე: ავდექი, რადგან შენ ჩემთან ხარ“.² და კვლავ იობი ამბობს: „და აღადგენ ამ ჩემს ხორცს, რომელმაც დაითმინა ეს ყველაფერი“.³

ჟავი XXVII

ჰმრიგად, ამ იმედით შეემსჭვალოს ჩვენი სულები მას, ვინც სარწმუნოა აღთქმებში და სამართლიანია მსჯავრში. ვინც გვამცნო, რომ არ ვიცრუოთ, ბევრად უფრო თვით არ იცრუებს, რადგან ღვთისათვის არაფერია შეუძლებელი, გარდა იმისა, რომ იცრუოს.⁴ ამიტომ, კვლავ აღეგზნოს მისი რწმენა ჩვენში და შევიცნოთ, რომ ყველაფერი ახლოსაა მასთან. თავისი დიდებულების სიტყვით შეამტკიცა ყველაფერი და სიტყვითვე ძალუძს მათი განადგურება. ვინ ჰკითხავს მას: რატომ შეჰქმენი? ან ვინ დაუდგება წინ მისი ძალის სიძლიერეს?⁵

1 ა. ჟობერი შენიშნავს: „ეს ციტატა, რაც შთაგონებულია ფს. 27.7 და 87.11-ით, ალბათ, აპოკრიფიდანაა ამოღებული.“

2 ფს. 3.6; 22.4.

3 იობი 19.26.

4 შდრ. ებრ. 6.18.

5 სიბრძნე 12.12.

როდესაც ნებავს და როგორც ნებავს, ყველაფერს აღასრულებს. არაფერი შეიცვლება მის მიერ დადგენილთაგან. მის წინაშეა ყველაფერი და არაფერი დაეფარება მის ნებას, თუ „ცანი უთხრობენ მის დიდებას, ხოლო მის ხელთა ნაქმნარს აცხადებს სამყარო. დღე დღეს აუწყებს სიტყვას და ღამე ღამეს ამცნობს ცოდნას; და არ არიან სიტყვები, არც ნათქვამები, რომელთა ხმებიც არ ისმინებოდეს“.¹

თავი XXVIII

ჭმრივად, გვეშინოდეს მისი, რადგან იგი ყველაფერს ხედავს და ყველაფერი ესმის. მივატოვოთ უსარგებლო საქმეთა არაწმინდა სურვილები, რომ დაგვიფაროს მისმა მოწყალებამ სამომავლო მსჯავრთაგან. რადგან რომელ ჩვენგანს ძალუძს თავის დაღწევა მისი ძლიერი ხელისაგან? რომელი ქვეყანა მიიღებს მისგან თვითნებურად განრიდებულთ? რადგან სადღაც ამბობს წერილი: „სად წავიდე და სად დავიძალო შენი პირისახისაგან? ცაში რომ ავიდე, შენ ხარ იქ, მიწის კიდემდე რომ მივიდე, იქაც შენი მარჯვენაა, უფსკრულებშიც რომ ჩავიძალო, იქაც შენი სულია“.²

ამიტომ ვინ სად წავა ან სად გაიქცევა მისგან, ვინც ყოველთვის მოიცავს?

თავი XXIX

ჭმრივად, სულის სიწმიდით მივიდეთ მასთან, უბიწო და

1 ფს. 18.2-4.

2 ფს. 138.7-10.

განწმენდილი ხელები მისკენ აღვაპყროთ და გვიყვარდეს ჩვენი კეთილი და გულმოწყალე მამა, ვინც თავისი რჩეულობის ნაწილად გვეო ჩვენ. რადგან ასეა დაწერილი: „როდესაც მაღალმა ტომები გაპყო, რაჟამს განთესა ადამის ძენი, დაადგინა ტომთა საზღვრები ღვთის ანგელოზთა რიცხვის მიხედვით. უფლის ნაწილი გახდა მისი ხალხი იაკობი, მისი მემკვიდრეობის მონაზომი¹ — ისრაელი;² და სხვა ადგილას ამბობს: „აჰა, უფალი ირჩევს თავის ტომს ტომთა შორის. როგორც ადამიანი ირჩევს თავისი კალოს პირველთავს, და იმ ტომიდან გამოვლენ წმიდანი წმიდათანი“³.

თავი XXX

ჭმრიგად, ვართ რა წმინდა ნაწილი, ყველაფერი სიწმინდის შესაფერისი ვაკეთოთ, გავექცეთ ბოროტსიტყვაობას, ბილწ და არაწმინდა კავშირებს, სიმთვრალეს, არეულობებს, ქვენა სურვილებს, საძულველ მრუშობასა და საძაგელ ამპარტავნებას, რადგან ნათქვამია: „ღმერთი ამპარტავანთ შემუსრავს, მდაბალთ კი მადლს აძლევს“⁴ ასე რომ, შევეუერთდეთ მათ, რომლებსაც ღვთისაგან მიეცათ მადლი. შევიმოსოთ ერთსულვნება, ვიყოთ მდაბალნი, თავშეკავებულნი, ყოველგვარი

1 scoinisma 29.2 — ნიშნავს თოკით სამოსახლო ადგილის მოზომვას. ძვ. ქართული თარგმანი „ნავთაული“, გელათური — „საზომი“. შდრ. „ოდეს განყვნა მაღალმან ნათესავნი, ვითარ მიმოსთესნა ძენი ადამისნი, დაადგინნა საზღვარნი თესლებისანი რიცხვსაებრ ანგელოზთა ღმრთისათა და იქმნა ნაწილ უფლისა ერი მისი იაკობი, საზომ სამკვდრებელისა მისისა — ისრაელი“ (II რჯ. 32.8-9. იხ. „წიგნი ძუელისა აღთქმისანი“, ნაკვეთი 2, „მეცნიერება“, 1990, გელათური რედაქცია გვ. 499).

2 II რჯ. 32.8-9.

3 წყარო უცნობია.

4 იგ. 3.34; იაკ. 4.6; I პეტრე 5.5.

ჭორისა და ბოროტსიტყვაობისაგან შორს დავიჭიროთ თავი. საქმეებით განვმართლდეთ და არა სიტყვებით, რადგან ამბობს: „მრავლისმთქმელმა კიდევ მოისმინოს; ან კეთილად მეტყველი იმას ფიქრობს, რომ სამართლიანია? კურთხეულია დღენაკლული შობილი ქალისაგან. ნუ იქნები მრავლისმეტყველი“.¹ ჩვენი ქება ღვთისაგან იყოს და არა თავად ჩვენგან, რადგან ღმერთს სძულს ისინი, რომლებიც საკუთარ თავს იქებენ. ჩვენს კეთილ საქმეებს დამოწმება, დაე, სხვების მიერ მიეცეს, მსგავსად იმისა, ჩვენს მართალ მამებს რომ მიეცათ. თავხედობა, თვითნებობა და უტიფრობა ღვთისგან დაწყევლილთათვისაა, ხოლო სიმშვიდე, მორჩილება² და უდრტვინველობა ღვთის მიერ კურთხეულებთან არის.

თავი XXXI

შევეკრათ მის კურთხევას და ვნახოთ, რა არის კურთხევის გზები. გავიხსენოთ დასაბამიდან მომხდარი. რის გამო იკურთხა ჩვენი მამა აბრაამი? განა სამართლიანობა და ჭეშმარიტება რწმენის მიერ არ აღასრულა?³ ისააკმა მომავალი შეიცნო და მორჩილებით მიყვანილ იქნა იგი წადიერ მსხვერპლად. იაკობი ძმის გამო სიმდაბლით განეშორა თავის ქვეყანას და ლაბანთან წავიდა, დაემონა, და მიეცა მას ისრაელის თორმეტი ტომი.⁴

1 იობი 11.2-3.

2 ბერძნულში გვაქვს *tapeinofrosunh*, რაც ითარგმნება როგორც „მორჩილება“, „თავმდაბლობა“, „სიმდაბლე“, „მდაბალგონიერება“, „სიწმინდე“. კონტექსტის გათვალისწინებით უფრო მიზანშეწონილად მივიჩნით აღნიშნული სიტყვა გვეთარგმნა როგორც „მორჩილება“.

3 შდრ. დაბ. 12.2; გალატ. 3,6-19.

4 სიტყვ. „თორმეტი კვერთხობა“ (*dwdekaskhptron*) 31.4, რაც ნიშნავს ისრაელის თორმეტი ტომის წინამძღვრობას.

ჟავი XXXII

ჴუ ვინმე წრფელად გაიაზრებს ყოველივეს ცალ-ცალკე, შეიცნობს მის მიერ მოცემულ ნიჭთა სიდიადის მშვენიერებებს, რადგან მისგან არიან მღვდლები¹ და ყველა ლევიტელი, ვინც ემსახურებოდა ღვთის საკურთხეველს. მისგან არის ხორციელად უფალი იესო. მისგან არიან მეფენი, მთავარნი და წინამძღოლნი იუდას² მიერ, მისი დანარჩენი ტომები არამცირე დიდებაში იმყოფებიან, როგორც ღვთის მიერ არის აღთქმული, რომ „იქნება შენი შთამომავლობა, როგორც ცის ვარსკვლავები“.³

ამრიგად, ყველანი სახელოვანნი და დიდებულნი გახდნენ არა სკუთარ თავთა მიერ, არათუ მათი საქმეების ან კეთილქმედებათა მიერ, რასაც აღასრულებდნენ, არამედ ღვთის ნებით. ასე რომ, ჩვენც, მისი ნებით იესო ქრისტეში მოწოდებულნი, არა თავად ჩვენ მიერ განვმართლდებით, არც ჩვენი სიბრძნის, გონიერების, კეთილმორწმუნეობის ან საქმეების მიზეზით, რასაც ვიქმთ გულის სიწმინდით, არამედ რწმენის მიერ, რითაც საუკუნიდან ყველა განამართლა ყოვლისმპყრობელმა ღმერთმა, რომელსაც შვენის⁴ დიდება უკუნითი უკუნისამდე.

ჟავი XXXIII

შმრიგად, რა მოვიმოქმედოთ, ძმანო? დავცხრეთ კეთილმო-

1 აქ პირველად იხსენიებიან „მღვდლები“ „iḥrei“ 32.2.

2 იუდა – იაკობის ერთ-ერთი შვილი.

3 შესაქმე 15,5; 22,17; 26,4.

4 ბერძნულში გვაქვს ბრძანებითი ფორმა $\omega\lambda\epsilon\iota\sigma\tau\omega$, რაც ნიშნავს „იყოს“.

ქმედებისაგან და მივატოვოთ სიყვარული? ნურც მოხდება, რომ ეს დაუშვას მეუფემ ჩვენზე! არამედ გულმოდგინებითა და სიბეჯითით ვეცადოთ ყოველი კეთილი საქმის აღსრულებას, რადგან თავად შემოქმედი და ყოველთა მეუფე ხარობს თავისი საქმეებით; რადგან თავისი ყოვლადღიებული ძალით ცანი დაამტკიცა და თავისი მიუწვდომელი სიბრძნით შეამკო ისინი. განაცალკევა მიწა წყლისაგან, მას რომ გარს ერტყა, და თავისი ნების მტკიცე საძირკველზე დააფუძნა ის. მისი განწესებით ებრძანა მოსიარულე ცხოველებს მიწაზე ყოფნა. მანვე წინდაწინ განამზადა ზღვა და ზღვის ცხოველები და თავისი ძალით შემოსაზღვრა ისინი. ხოლო რაც ყოველივეზე უაღმატებულესია და უდიდებულესი – წმინდა და უბიწო ხელთაგან ადამიანი შექმნა, მისი ხატის ტვიფარი.¹ რადგან ასე ამბობს ღმერთი: „შევქმნათ ადამიანი ჩვენი ხატისა და მსგავსების მიხედვით და შექმნა ღმერთმა ადამიანი; მამაკაცად და დედაკაცად შექმნა ისინი“². განასრულა რა ეს ყველაფერი, მოიწონა, აკურთხა და თქვა: „აღორძინდით და გამრავლდით“³. დაუუკვირდეთ, რომ ყველა მართალი შემკობილი იყო კეთილი საქმეებით და თავად უფალმაც, რომელმაც შეიმკო თავი კეთილი საქმეებით, განიხარა. გვაქვს რა ასეთი მაგალითი, ორჭოფობის გარეშე შევეუდგეთ მის ნებას და მთელი ძალისხმევით აღვასრულოთ სამართლიანობის საქმე.

თავი XXXIV

კეთილი მშრომელი გულდაჯერებით იღებს თავისი შრომის პურს, ზარმაცი და მცონარი კი თვალს ვერ უსწორებს

1 th~ eautou`eiķono~ carakt hira 33.4.

2 შესაქმე 1.26-27.

3 შესაქმე 1.22.28.

მისთვის სამუშაოს მიმცემს. ამიტომ გვმართებს გულმოდგინე ვიყოთ კეთილ საქმეში, რადგან ყველაფერი მისგან არის. რადგან წინდაწინ გვაუწყებს ჩვენ: „აჰა — უფალი, და მისი საზღაური — მისი პირისახის წინაშე, რომ მიაგოს თითოეულს თავისი საქმეების მიხედვით“.¹ მოგვიწოდებს ჩვენ, რომ მთელი გულით მისდაძი მორწმუნენი არ ვიმყოფებოდეთ უქმობასა და მცონარებაში არანაირი კეთილი საქმის მიმართ. დაე, მასში იყოს ჩვენი სიქადული და გულდაჯერება. დავემორჩილოთ მის ნებას, შევიმეცნოთ, თუ როგორ ემსახურება მის ნებას მის წინაშე მდგომარე მისი ანგელოზების მთელი სიმრავლე, რადგან წერილი ამბობს: „ათიათასნი ათიათასთანი იღვწენ მასთან და ათასნი ათასთანი მსახურებდნენ მას“² და ხმობდნენ: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, და სავსეა მთელი შესაქმე მისი დიდებით.“³

ამიტომ ჩვენც შევიკრიბოთ ერთ ადგილას ერთი გონებითა და სინდისით და, როგორც ერთი პირისაგან, მოუკლებელად ვხმობდეთ მის მიმართ, რომ მის დიდებულ და დიად აღთქმათა თანახმად არი გაგვხადოს ჩვენ. რადგან ამბობს: „თვალს არ უნახავს და ყურს არ მოუსმენია, რაც განუმზადა მის მოძლოდინებებს“.⁴

ჟანსტო XXXV

წა ნეტარება და საკვირველებაა ღვთის ნიჭები, საყვარელნო: სიცოცხლე უკვდავებაში, ბრწყინვალეობა სამართლიანობაში, ჭეშმარიტება თავისუფლებაში, რწმენა სასოებაში, თავშეკავება სიწმინდეში. ეს ყველაფერ მისაღწევია ჩვენი

1 უცნობია. შდრ. ესაია 40.10; 62.11; იგ. 24.12; ფს. 6.13.

2 დან. 7.10.

3 ესაია 6.3.

4 I კორ. 2.9.

გონებისათვის. ამრიგად, კიდევ რა არის განმზადებული მისი მომლოდინებისათვის? შემოქმედმა და საუკუნეთა მამამ, თავად მან, ყოვლადწმინდამ, იცის მათი დიდებულება და სიმშვენიერე. მაშასადამე, ჩვენც ვიღვაწოთ, რომ მის მომლოდინეთა რიცხვში აღმოვჩნდეთ, რომ აღთქმული ნიჭების მონაწილენი გავხდეთ. ხოლო როგორ მოხდება ეს, საყვარელნო?! თუ ჩვენი გონება რწმენით იქნება განმტკიცებული ღვთის მიმართ, თუ გამოვიკვლევთ მას, რაც მისთვის სათნოა და მოსაწონი, თუ აღვასრულებთ იმას, რაც შესაფერისია მისი უმწიკვლო ნებისათვის და შევუდგებით ჭეშმარიტების გზას, საკუთარ თავთაგან განვიშორებთ რა ყოველგვარ უსამართლობასა და ბოროტებას, ანგარებას, შფოთს, უკეთურ ჩვევებს და მზაკვრობებს, ბოროტმეტყველებასა და უკეთურსიტყვაობას, ღვთისმოძულეობას, ქედმაღლობას, გალაღებას, ცუდმედილობას და არასტუმართმოყვარეობას, რადგან ამათი მოქმედნი საძულველნი არიან ღვთისთვის, „ხოლო არა მარტო ისინი, რომლებიც იქმან ამათ, არამედ, აგრეთვე, რომლებიც მათ ისათნობენ“.¹ რადგან წერილი ამბობს: „ხოლო ცოდვილს უთხრა ღმერთმა: რატომ მიუთხრობ შენ ჩემს სამართალთ და აღმოთქვამ ჩემს აღთქმას შენი ბაგით? შენ მოიძულე ჩემი სწავლება და უკუგანაგდე ჩემი სიტყვები, თუ ნანახვი მპარავს, მასთან ერთად რბოდი და მემრუშესთან გქონდა დადებული წილი. შენმა პირმა განამრავლა ბოროტება და შენი ენა თხზავდა მზაკვრობას. სამსჯავროში მჯდომარე შენს ძმაზე ავმეტყველებდი და შენი დედის ძისათვის განამზადებდი საცთურს. შენ ამას იქმოდი და მე ვლუმი; უსჯულოვ, შენ იფიქრე, რომ შენი მსგავსი ვიქნებოდი. გამხელ შენ და წარგადგენ შენ შენი თავის წინაშე. გულისხმა-ჰყავით ყოველივე ეს ღვთის დამვიწყებლებმა, რომ ოდესმე არ წარგიტაცოთ, როგორც ლომმა, და არ იქნება თქვენი გამომხსნელი. მსხვერპლი ქებისა განმადიდებს მე და იქ არის გზა, რომელზეც ვუჩვენებ

1 რომ. 1.32.

მას ღვთის მაცხოვარებას“.¹

თავი XXXVI

ეს არის გზა, საყვარელო, სადაც ვიპოვით ჩვენს ცხოვრებას – იესო ქრისტეს, ჩვენს შეწირულობათა მღვდელმთავარს, ჩვენი უძღურების თავსმდებს და შემწეს. ამ გზისაგან ავიხედოთ ცათა სიმაღლეში და ამ გზის მიერ, როგორც სარკეში, ისე ვხედავდეთ მის უბიწო და უსაღვთოეს სახეს. ამ გზის მიერ განგველო ჩვენ თვალნი გულისა, ამ გზის მიერ უგულისხმო და დაბნელებული ჩვენი გონება ზეაღმავლობას განიცდის ნათლისაკენ. მის მიერ ინება მეუფემ, რომ გვეგემა ჩვენ უკვდავი ცოდნა, „რომელიც არის მისი ღიღების ბრწყინვალება, იმდენად აღმატებული ანგელოზებზე, რამდენადაც უაღმატებულესი სახელი დაიმკვიდრა“.² რადგან ასეა დაწერილი: „შექმნა მისი ანგელოზები სულებად და მისი მსახურები – ცეცხლის ალად“.³ თავის ძეზე კი ასე ამბობს მეუფე: „ჩემი ძე ხარ შენ, მე დღეს გშობე შენ, ითხოვე ჩემგან და მოგცემ შენ ხალხებს შენს სამკვიდრებელად და მიწის კიდევებს – შენს სამფლობელოდ“.⁴ და კვლავ ამბობს მისდამი: „დაჯექი ჩემს მარჯვნივ, ვიდრე დავცემ შენს მტრებს შენს ფეხთა ქვეშ“.⁵ ხოლო მტრები ვინ არიან? უგუნურნი და მისი ნების მოწინააღმდეგენი.

1 ფს. 49.16-23.

2 ებრ. 1.3-4.

3 ებრ. 1.7; ფს. 103.4.

4 ებრ. 1.5; ფს. 2.7-8.

5 ებრ. 1.13; ფს. 109.1.

თავი XXXVII

ჭმრივად, კაცნო ძმანო, მთელი ძალისხმევით ვიღვაწოთ მისი უბიწო განწესებების აღსასრულებლად. დავუკვირდეთ მხედართ, როგორი წესრიგით, როგორ უდრტვინველად, როგორი მორჩილებით აღასრულებენ წინამძღოლთა ბრძანებებს. ყველა როდია მეთაური, ან ათასისთავი, ან ასისთავი, ან ორმოცდაათისთავი და ასე შემდეგ, არამედ თითოეული მათგანი თავის მწყობრში მეფისა და წინამძღოლების მიერ მიცემულ ბრძანებებს ასრულებს. დიდნი ვერ შეძლებენ მცირეთა გარეშე არსებობას, ვერც მცირენი — დიდთა გარეშე: რაღაც თანაშეზავებაა ყველა საგანში და ურთიერთსაჭიროებაა მათ შორის.¹

ავიღოთ ჩვენი სხეული: „თავი არაფერი არ არის ფეხთა გარეშე, ასევე, არც ფეხნი — თავის გარეშე. ჩვენი სხეულის უქვენაესი ნაწილებიც კი საჭირო და სასარგებლოა მთელი სხეულისათვის. მაგრამ აუცილებელია, რომ ყველა მათგანი ურთიერთთანხმობასა და ურთიერთმორჩილებაში იყოს, რათა შენარჩუნდეს მთელი სხეული“.²

1 ბერძნული დედანი სიტყვასიტყვით ასეთია: „თანაშეზავება რამ არის ყოველთა შორის და მათშია სარგებლობა“. ნაგულისხმევი აზრი უფრო გამოკვეთილია უძველეს ლათინურ თარგმანში (II ს. II ნახ.): „ყველაფერში არსებობს რაღაც თანაშეზავება და ყოველი ნივთი საჭიროებს მეორეს“ (შდრ. ფრანგ.). მიუთითებენ პარალელზე ეგრიპიდესთან: „არაფერი სასარგებლო არ შეიქმნება დიდთა და მცირეთა თანაშეზავების (sugkrasi~) გარეშე. ჭეშმარიტად, დაწესებულია გარკვეული ურთიერთ-შეზავება, რისი შედეგიც მეტად სასიკეთოა“.

2 შდრ. I კორ. 12.12-27; რომ. 12.4-5.

თავი XXXVIII

ჭმრიგად, დაე შენარჩუნდეს მთელი ჩვენი სხეული იესო ქრისტეში. თითოეული დაემორჩილოს თავის მოყვასს შესაბამისად იმ მადლისა, მას რომ განეკუთვნა.¹ ძლიერმა იზრუნოს უძლურზე, ხოლო უძლური ეკრძალოს ძლიერს. მდიდარი წყალობდეს ღარიბს, ღარიბი კი ჰმადლობდეს ღმერთს, რადგან მისცა მან (ღმერთმა გ.ზ.) მდიდარს, რომელმაც აღავსო მისი (ღარიბის, გ.ზ.) ნაკლულევანება. ბრძენმა გამოაჩინოს თავისი სიბრძნე არა სიტყვებით, არამედ კეთილი საქმეებით. თავმდაბალი თვით ნუ სწამებს თავის თავზე, არამედ ადროოს სხვას, რომ სწამოს მის შესახებ. სხეულით წმინდა თავს ნუ აღიმადლებს. იცოდეს, რომ არის სხმა, ვინც ანიჭებს მას თავშეკავებას.

ამრიგად, გულისხმა-ვყოთ, ძმანო, რაგვარი ნივთიერებისაგან ვართ შექმნილნი, როგორები და რანი შემოვედით ამქვეყნად, რაგვარი საფლავიდან და წყვდიადიდან შემოგვიყვანა ჩვენმა შემოქმედმა და დამბადებელმა თავის სოფელში, — მან, ვინც ჩვენს შობამდე წინდაწინ განამზადა თავისი კეთილი საქმეები. მაშასადამე, გვაქვს რა ეს ყოველივე მისგან, გემართებს ყოველითურთ ვმადლობდეთ მას. დიდება მისდა უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

თავი XXXIX

ქუგუნური და უგულისხმონი, სულელნი და უმეცარნი დაგვცინიან და აბუჩად გვიგდებენ ჩვენ, სურთ რა, რომ მათი

1 შდრ. რომ. 12.6.

აზრებით თავად ამალდნენ. რადგან რა შეუძლია მოკვდავს? ან რა ძალა აქვს მიწისგან შექმნილს? რადგან დაწერილია: „არ იყო სახე ჩემს თვალთა წინაშე, არამედ მხოლოდ ნიავისა და ხმისა მესმოდა. რადგან რა? განა შეიძლება, რომ წმინდა იყოს აღამიანი უფლის წინაშე ან თავის საქმეში უბიწო იყოს კაცი, თუკი იბი თავის მსახურებს არ ერწმუნება და თავის ანგელოზებშიც ნაკლს ამჩნევს?“¹ „ზეცაც კი არ არის წმინდა მის წინაშე“² და, მითუმეტეს, „თიხის სახლებში მცხოვრებნი, რომელთაგან ვართ ჩვენც, იმავე თიხისაგანნი. მღილის მსგავსად გასრისა ისინი და განთიადიდან სადამომდე უკვე აღარ არიან, ვერ უშველეს რა საკუთარ თავს, წარწყმდნენ. მოჰბერა მათ და აღესრულნენ, ვინაიდან არ ჰქონდათ მათ სიბრძნე. მოუწოდე, იქნებ ყურად იღოს ვინმემ, იქნებ იხილო ვინმე წმინდა ანგელოზთაგანი, რადგან უგუნურს რისხვა სპობს, შეცთომილს კი შური კლავს. ხოლო მე ვიხილე უგუნური, რომელთაც ფესვები ჰქონდათ გადგმული, მაგრამ მყის შეიმუსრა მათი საცხოვრებელი. ხსნისაგან შორს იქნებიან მათი ძეგები და შეურაცხყოფილნი ძვირხილულთა კართან. არავინ იქნება მათი გადამრჩენელი, რადგან, რაც მათთვის გამზადებულია, მართალთათვის იქნება საკვებად, თავად ისინი კი უკეთურთაგან ვერ დააღწევენ თავს“³.

ქაფი XL

რადგან ჩვენთვის უკვე ცხადია ეს ყოველივე და განვკვირიტეთ რა საღვთო ცოდნის სიღრმეები, გვმართებს წესისამებრ აღვასრულოთ ყოველივე, რომელთა აღსრულებაც

1 იობი 4.16-18.

2 იობი 15.15.

3 იობი 4.19-55.

ბრძანა უფალმა განწესებულ ჟამთა შესაბამისად. მან ბრძანა, რომ შესაწირავები და მღვდელმსახურებანი აღსრულდეს, მაგრამ არა შემთხვევით ან უწესრიგოდ, არამედ განსაზღვრულ დროს და ჟამს. აგრეთვე, სადაც და რომელთა მიერაც ნებავს, რომ ეს ყველაფერი აღსრულდეს, თავად განსაზღვრა მისი უზენაესი განზრახვით, რათა ყველაფერი კეთილსათნოდ ქმნილი კეთილშეწყნარებული იყოს მისი ნებით. ამრიგად, კეთილშეწყნარებულნი და ნეტარნი არიან, რომლებიც თავის შესაწირავს დადგენილ ჟამს აღასრულებენ. მისდევენ რა მეუფის კანონებს, არ ცდებიან, რადგან მღვდელმთავარს ბოძებული აქვს თავისი მსახურებანი. მღვდლებს თავიანთი ადგილი აქვთ დადგენილი; ლევიტელებს¹ თავიანთი მოვალეობანი განეწესებათ, ერისკაცი კი საერო განჩინებებით არის შეკრული.

თავი XLI

შეიძინო, თითოეული თქვენგანი თავის მწყობრში სათნო-ეყოს ღმერთს კეთილი სინდისით, ღირსებით, არ გადავიდეს მისთვის განკუთვნილი ლიტურგიის განსაზღვრულ კანონს. ძმებო, არათუ ყველგან სწირავენ მსხვერპლს გახანგრძლივებით ან ალთქმათა გამო, ან ცოდვებისა და შეცოდებებისათვის, არამედ მხოლოდ იერუსალიმში. და იქაც ყველა ადგილზე როდი იწირება, არამედ ტაძრის წინ, საკურთხეველზე, მას შემდეგ, რაც შესაწირ მსხვერპლს შეამოწმებენ მღვდელმთავარი და ზემოხსენებული მსახურები. ხოლო მათ, რომლებიც მისი ნებისთვის შეუფერებელს მოქმედებენ, სასჯელად სიკვდილი აქვთ. ხელავთ, ძმებო, რაც მეტი ცოდნის ღირსი გავხდით, მით

1 სიტყვა ლევიტელი, რაც ძველი აღთქმის ებოქიდან მომდინარეობს, ახალ აღთქმაში იგივეა, რაც დიაკონი.

მეტად ვექვემდებარებით საფროთხეს.

თავი XLII

მოციქულებს ჩვენთვის ეხარათ უფალ იესო ქრისტესგან. იესო, რომელიც არის ქრისტე, ღვთისაგან¹ მოივლინა; ამრიგად, ქრისტე — ღვთისაგან, მოციქულები კი — ქრისტესაგან. ორივე ეს [საქმე] კეთილწესიერად აღსრულდა ღვთის ნებით. მიიღეს რა მოციქულებმა მცნებანი და აღივსნენ რა რწმენით ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს აღდგომის შედეგად, ამასთან, განმტკიცდნენ რა ღვთის სიტყვაში, სულიწმინდით რწმენასავსენი, წავიდნენ და ახარებდნენ, რომ მოსასვლელია ღვთის სასუფეველი. სოფლებსა და ქალაქებში ქადაგებისას დაადგინეს მათი სათავეები,² გამოსცადეს რა სულით,³ იმათ ეპისკოპოსებად და დიაკვნებად, რომლებიც სამომავლოდ მორწმუნენი უნდა გამხდარიყვნენ, თუმცა ამგვარი რამ ახალი როდია, რადგან ძველთაგანვე იწერებოდა ეპისკოპოსთა და დიაკონთა შესახებ, ვინაიდან სადღაც ამგვარად ამბობს წერილი: დავადგენ მათ ეპისკოპოსებს სამართლიანობით და მათ დიაკვნებს — სარწმუნოებით.⁴

1 იგულისხმება მამალმერთი.

2 სათავეები — *aparca-* 42.4, როგორც მიიჩნევენ, სახეობრივად, ალეგორიულად გულისხმობს მოციქულთა მიერ დადგენილ ეპისკოპოსებს და დიაკვნებს. შდრ. რომ. 16.5 (ძვ. ქართ. „პირველი ნაყოფი“), I კორ. 16.15 (ძვ. ქართ. „პირველი ნაყოფი“, „პირველი“).

3 სულით „*pneumati*“ 42.4 — ფრანგ. თარგმანში გვაქვს „სული“ მთავრული ასოთი, ე.ი. სულიწმინდა, თუმცა შენიშვნაში მითითებულია, რომ ხსენებული ბერძნული სიტყვა მოცემულ კონტექსტში შეიძლება ითარგმნოს, როგორც: „სულიერად“, „სულის მიხედვით“.

4 ესაია 60.17. მითითებულ მუხლში მხოლოდ ეპისკოპოსები (ძვ. ქართ. „ზედამხედველნი“) გვხვდება.

ჟამი XLIII

და რატომ არის საკვირველი, თუ მათ, რომლებსაც ღვთისაგან ქრისტეს მიერ ერწმუნათ ამგვარი საქმე, დაადგინეს ზემოსხენებული [პირები]? ნეტარმა მოსემ, „მთელ სახლში სარწმუნო მსახურმა“,¹ წმინდა წიგნებში აღნიშნა ყველაფერი, რაც მას ებრძანა; მასვე შეუდგნენ დანარჩენი წინასწარმეტყველნი, რომლებიც თანაემოწმებიან მის მიერ რჯულებულთ. რადგან მან იმ დროს, როდესაც მოშურნეობა ჩამოვარდა მღვდლობის გამო და დრტვინავდნენ ისრაელის ტომები, თუ მათგან რომელი უნდა შემკობილიყო ამ დიდებული სახელით, უბრძანა თორმეტი ტომის მთავართ, მიეტანათ მისთვის კვერთხები, რომლებზეც დაწერილი იქნებოდა თითოეული ტომის სახელი. და აიღო მან ისინი, შეკრა და დაბეჭდა თითოეული ტომის მთავრის ბეჭდით. შემდეგ სამოწმო კარავში დააწყო ღვთის ტრაპეზზე და დახშა რა კარავი, დაბეჭდა კლიტენიც კვერთხების მსგავსად და უთხრა მათ: „კაცნო ძმანო, რომელი ტომის კვერთხიც განედლდება, ის გამოურჩევა ღმერთს, რომ მღვდლობდეს და მწირველობდეს მისდამი“. როდესაც გათენდა, უხმო მთელ ისრაელს, ექვსასი ათას კაცს და უჩვენა ტომთა მთავრების ბეჭედნი, შემდეგ გააღო სამოწმო კარავი, წინ გამოიტანა კვერთხები და აღმოჩნდა, რომ აარონის კვერთხი არამართო აყვავებულიყო, არამედ ნაყოფიც გამოეღო.² როგორ გგონიათ, საყვარელნო, არ იცოდა მოსემ, რომ ეს მოხდებოდა? ძალიან კარგად იცოდა, მაგრამ ასე მოიქცა, რომ ისრაელში უწესრიგობა არ მომხდარიყო, რათა განდიდებულიყო სახელი იმ ჭეშმარიტისა და ერთადერთისა, რომლისა არს დიდება უკუნიითი უკუნისამდე, ამინ!

1 რიცხ. 12.7; ებრ. 3,2,5.

2 შდრ. რიცხ. 17.16-26.

ჟამი XLIV

წვენმა მოციქულებმაც უფალ იესო ქრისტესგან იცოდნენ, რომ განხეთქილება იქნებოდა საეპისკოპოსო სახელდების შესახებ. სწორედ ამ მიზეზით, მიიღეს რა სრული წინასწარმცოდნეობა, დაადგინეს ზემოსსენებული [პირები], და, ამასთან, კანონიც დადეს, რომ როდესაც ისინი აღესრულებოდნენ¹, სხვა გამოცდილ კაცებს ემეძკვიდრათ მათი მსახურება. ამგვარად, ისინი, რომლებიც დადგენილ იქნენ მათგან, ანდა მათ შემდეგ სხვა შერაცხილ კაცთაგან მთელი ეკლესიის თანასათნოყოფით, და რომლებიც უზადოდ მსახურებდნენ ქრისტეს სამწყსოს თავმდაბლობით, სიმშვიდით და ღირსებით, აგრეთვე, ხანგრძლივი დროის მანძილზე ყველგან ღვთივდამოწმებულნი — ამგვარი პირების განდევნა მღვდელმსახურებისაგან² სამართლიანად არ მიგვაჩნია, რადგან არამცირე ცოდვა იქნება ჩვენთვის, თუ უბიწოდ და წმინდად ძღვენისშემწირველებს³ ეპისკოპოსობისაგან განვაყენებთ. ნეტარ არიან ის ხუცესები, რომლებმაც უკვე განვლეს წუთისოფელი და რომლებმაც ჰპოვეს თავიანთი ღვაწლის შესაფერისი ნაყოფი⁴ და სრული განსვენება, რადგან აღარ აქვთ შიში იმისა, რომ ვინმე განდევნის მათ მათთვის დადგენილი ადგილიდან, რადგან ვხედავთ, რომ ზოგნი, რომლებიც კეთილად მოღვაწეობდნენ, განაშორეთ თქვენ მათდამი უბიწოდ რწმუნებულნი მღვდელმსახურებისაგან.

1 ე.ი. გარდაიცვლებოდნენ.

2 ბერძნულში გვაქვს Liturgia 44.3, რაც მოცემულ კონტექსტში არ ნიშნავს მხოლოდ ჟამისმწირველობას.

3 იგულისხმება ევქარისტული ძღვენი.

4 ბერძნულში გვაქვს eġkarpon, რაც ნიშნავს „ნაყოფიერს“. იგულისხმება მოღვაწისთვის რწმენითა და სათნო საქმეებით განვლილი ცხოვრების შედეგად ზეციური სასუფეველის მოპოვება.

ქაქუხი XLV

შფოთისმოყვარენი ხართ, ძმებო, და მოშურნენი იმ საქმეთა მიძართ, რაც უკავშირდება ხსნას. ჩაიხედეთ წმინდა წერილში, რაც ჭეშმარიტია, რაც სულიწმინდისეულია. შეიცანით, რომ არაფერი წერია უსამართლო, ან არაჭეშმარიტი მასში. ვერ ნახავთ მართალთ, წმინდა კაცთაგან გაძევებულთ. იდევენებოდნენ მართალნი, მაგრამ — უღმრთოთაგან; დატყვევებულნი იყვნენ, მაგრამ — უწმინდურთაგან; ჩაიქოლნენ უსჯულოთაგან; მოიკლნენ მათგან, რომლებმაც ბილწი და უსამართლო შური ითვისეს. ეს ყოველივე ივნეს და კეთილსახელოვნად დაითმინეს მათ. რადგან, რა ვთქვათ, ძმებო? ნუთუ ღვთისმოსიშებმა ჩააგდეს დანიელი ლომების ხაროში?¹ ანდა, ნუთუ მათ შეაყენეს ცეცხლის ღუმელში² ანანია, აზარია და მისაელი, რომლებიც მსახურებდნენ უზენაესის დიდმშვენიერ და დიდებულ მსახურებას? ნურასოდეს მონდება ეს! ამრიგად, ვინ იყვნენ ამგვარ საქმეთა მოქმედნი? — მძულვარენი, ყოველგვარი ბოროტებით სავსენი, რომლებიც იმ ზომამდე გამაგდნენ მრისხანებისაგან, რომ ტანჯვა-წამებას მისცეს წმინდად და უბიწო ზრახვით ღმერთს დამონებულნი, არ იცოდნენ რა, რომ უზენაესია ზესთამბრძოლი და დამფარველი მათი, ვინც წმინდა სინდისით მსახურებს მის ყოვლადსათნო სახელს, დიდება მისდა უკუნიით უკუნისამდე, ამინ. ხოლო რომლებმაც რწმენით დაითმინეს, დიდება და პატივი დაიმკვიდრეს, ამაღლდნენ და ჩაიწერნენ ღვთის მიერ მის მოსახსენებელში უკუნიით უკუნისამდე, ამინ.

1 შდრ. დან. 6.17.

2 შდრ. დან. 3.19; 3.24.

თავი XLVI

ჭმრიგად, გვმართებს, ჩვენც შევუდგეთ ამგვარ მაგალითებს, ძმებო, რადგან დაწერილია; „შეუდექით წმინდანებს, რადგან მათდამი შედგომილნი განიწმინდებიან“.¹ და კიდევ სხვა ადგილას ამბობს: „მართალ კაცთან მართალი იყავ და რჩეულთან რჩეული იყავ და მრუდს განეშორე“.²

ამრიგად, შევემსჭვალეთ უცოდველთ და მართალთ, რადგან ისინი არიან ღვთის რჩეულნი. რატომ არის თქვენ შორის განხეთქილებანი, მრისხანებანი, დაპირისპირებანი, განყოფანი და ბრძოლა? ნუთუ არ გვყავს ერთი ღმერთი და ერთი ქრისტე და ერთი სული მადლისა, ჩვენზე მოფენილი, და ერთი ქრისტესმიერი მოწოდება? რისთვის ვაცალკევებთ და განვყოფთ ქრისტეს ნაწილებს? რისთვის ვუპირისპირდებით საკუთარ სხეულს და რატომ მივდივართ იმგვარ უგუნურებად, რომ ვივიწყებთ, ერთიმეორის ნაწილები რომ ვართ? გაიხსენეთ ჩვენი უფლის, იესოს სიტყვები, რადგან თქვა: „ვაი, იმ ადამიანს, კარგი იქნებოდა მისთვის, რომ არ შობილიყო, ვიდრე ის, რომ დაებრკოლებინა ერთი ჩემს რჩეულთაგანი, უმჯობესი იქნებოდა მისთვის, წისქვილის ქვა ჩამოეკიდებინა და ზღვაში დანთქმულიყო, ვიდრე ის, რომ გზას აეცდინა ერთი ჩემი რჩეულთაგანი“.³ თქვენმა განყოფამ მრავალი ააცდინა გზას, მრავალი ჩააგდო სასოწარკვეთილებაში, მრავალი — ეჭვში, ჩვენ კი ყველა — მწუხარებაში. მუდმივი გახდა თქვენი მშფოთვარება.

1 წყარო უცნობია.

2 ფს. 17.26-27.

3 შდრ. მათე 18.6; მარკოზი 9.42; ლუკა 17.1-2.

ჟამი XLVII

შილეთ ნეტარი პავლე მოციქულის ეპისტოლე. რა დაგიწერათ თქვენ პირველად, ხარების თავში? ჭეშმარიტად სულიერად მოგწერათ საკუთარი თავის, კეფას¹ და აპოლონის შესახებ,² რადგან მაშინაც უთანხმოება გქონდათ, მაგრამ იმ უთანხმოებაში ნაკლები ცთომილება შეგძინათ, რადგან მიემხრეთ თქვენ ღვთივდამოწმებულ მოციქულებსა და მათ მიერ გამოცდილ კაცს³. ახლა კი დაუკვირდით, ვინ არიან, თქვენ რომ გზას აგაცდინეს და დააკნინეს თქვენი განთქმული ძმათმოყვარეობის ღირსება. სამარცხვინოა, ძმებო, მეტისმეტად სამარცხვინოა და შეუსაბამო ქრისტესმიერი ცხოვრებისათვის იმის მოსმენა, რომ კორინთოს უმტკიცესი და უძველესი ეკლესია ერთი ან ორი პიროვნების გამო დაუპირისპირდა ხუცესებს და ამ ამბავმა არამარტო ჩვენამდე მოაღწია, არამედ იმ პირებამდეც, რომლებიც ჩვენგან განდგომილები არიან.⁴ ასე რომ, თქვენივე უგუნურების მიზეზით უფლის სახელსაც არცხვენთ და თქვენს თავსაც საფრთხეს უქმნით.

ჟამი XLVIII

ჭმრივად, სასწრაფოდ დავაცხროთ [შუღლი], შევუვრდეთ მეუფეს და ცრემლით ვევედროთ მას, რომ მოწყალებით

1 ასე მოიხსენიება წმ. პეტრე მოციქული. (შდრ. გალ. 2,9; ინ. 1,42)

2 შდრ. I კორ. 1.10-12.

3 იგულისხმება წმ. პავლე მოციქულის მოწაფე ტიმოთე, რომელიც მან წარგზავნა კორინთოს ეკლესიაში (შდრ. I კორ. 4,17).

4 eĕeroklinei~ 47.7 – იგულისხმებიან წარმართები („სხვაგვარად-მიღრეკილები“).

მოგვხედოს ჩვენ და კვლავ აღგვადგინოს ჩვენი უბიწო ძმათ-
მოყვარეობის სიწმინდეში. რადგან გახსნილია თვით მაცხოვრე-
ბელი კარიბჭე, როგორც დაიწერა: „გამიხსენით მე კარიბჭენი
სიმათლისა, რომ შევიდე მათში და ვადილო უფალი. ეს არის
უფლის კარიბჭე და მართალნი შევლენ მასში“.¹ თუმცა მრავალი
კარიბჭეა გახსნილი, მაგრამ ის, რომელიც სიმათლე-
შია, ეს არის — ქრისტესმიერი. ნეტარია ყველა, ვინც მას-
ში შევა და ვინც წარმართავს თავის სვლას სიწმინდესა და
სამართლიანობაში, რადგან უშფოთველად აღასრულებს იგი
ყოველივეს. იყოს ვინმე სარწმუნო, იყოს ვინმე შემძლე, რომ
გამოთქვას ცოდნა, სხვა იყოს ბრძენი სიტყვათა განმრჩეველო-
ბაში, სხვა — საქმეებით წმინდა.² ხოლო რაც უფრო აღმატე-
ბულად რაცხენ მას, მით მეტი სიმდაბლე მართებს. ეძიოს მან
ზიარი სარგებელი ყველასთვის და არა მხოლოდ საკუთარი
თავისთვის.

თავი XLIX

ვისაც აქვს ქრისტესმიერი სიყვარული, აღასრულოს
ქრისტეს მცნებები. ვის ძალუძს გამოთქვას საკრველი ღვთის
სიყვარულისა?³ ვის შეუძლია გადმოსცეს მისი სიმშვენიერის
დიდებულება? მიუთხრობელია სიმაღლე, სადაც ავყავართ
სიყვარულს. სიყვარული შეგვანაწევრებს ჩვენ ღმერთთან,

1 ფს. 117.19-20. კარიბჭის შესახებ აღნიშნული სწავლება ციტირე-
ბულია კლიმენტი ალექსანდრიელის მიერ (შდრ. Strom. VI,8).

2 აღნიშნული ადგილი პერიფრაზულად ციტირებულია კლიმენტი
ალექსანდრიელის მიერ: $h\bar{t}w agno\sim ej\ e\bar{f}goi\sim, h\bar{t}w gorgoi\sim ej\ e\bar{f}goi\sim,$
 $h\bar{t}w agno\bar{+}$ (Clem. Al. Strom. VI, 8-65,3; შდრ. Strom. I,7-38,8). რუ-
სულ თარგმანში $h\bar{t}w$ გადმოტანილია ასე: Да Будет ис. Строматы, пер. Н.
Корсунского, 1882, с. 49; შდრ. სქოლიოც).

3 შდრ. კოლ. 3.14.

„სიყვარული ფარავს ცოდვათა სიმრავლეს“.¹ სიყვარული ყველაფერს დაითმენს, ყველაფრისადმი სულგრძელია, არაფერია სულმდაბლური სიყვარულში, არაფერი ქედმაღლური, სიყვარულს არა აქვს განხეთქილება, სიყვარული არ დრტვინავს, სიყვარული ყველაფერს თანხმობით იქმს. ყველა რჩეული ღვთისა სიყვარულში სრულ-იქმნა. სიყვარულის გარეშე არაფერია სათნო ღვთისათვის. სიყვარულით შეგვითვისა ჩვენ ღმერთმა. სიყვარულის გამო, რაც ჩვენდამი ჰქონდა, ღვთის ნებით თავისი სისხლი გაიღო ჩვენთვის ჩვენმა უფალმა იესო ქრისტემ, და [გაიღო მან] ხორცი – ჩვენი ხორცისათვის და სული – ჩვენი სულებისათვის².

თავი L

წახეთ, საყვარელნო, როგორ დიდია და საკვირველი სიყვარული. ვერ გამოითქმის მისი სრულყოფილება. ვინ შეძლებს მასში დამკვიდრებას, თუ არა ის, ვისაც ღირს-ყოფს ღმერთი? ამრიგად, ვევედროთ და ვითხოვოთ მისი მოწყალებისაგან, რომ ადამიანური მიკერძობების გარეშე უბიწოდ დავმკვიდრდეთ სიყვარულში. გადავიდა ყველა თაობა ადამიდან ვიდრე ამ დღემდე, მაგრამ სიყვარულში ღვთის მაღლით სრულქმნილნი კეთილმორწმუნეთა ადგილს ფლობენ, რომლებიც მაშინ გაცხადდებიან, როდესაც იქნება მოხელვა³ ქრისტეს სასუფევე-

1 I პეტრე 4.8; იაკობი 5.20.

2 ბერძნულში გვაქვს: thn sarka uper th~ sarko~ hnhwn kai; thn yuchn uper twh yucwn hnhwn 49.6, რაც შთამბეჭდავად წარმოაჩენს სწავლებას იმის შესახებ, რომ მაცხოვარმა თავისი ჯვარცმით გამოიხსნა მთელი კაცობრივი ბუნება, რითაც მან ყოველ ადამიანს, თუკი იგი პიროვნულად, ნებაყოფლობით დაემოწაფება და შეერთვის წმინდა ეკლესიას, გზა გაუხსნა ზეციური სასუფეველისკენ.

3 episkoph/50.3 – ფრანგ. სიტყვ. visite (იხ. შენ. 1, გვ. 182).

ლისა, რადგან დაწერილია: „შედით მცირე ხანს სარდაფებში, ვიდრე გადაივლის ჩემი რისხვა და წყრომა და გავიხსენებ კეთილ დღეს და აღგადგენთ თქვენ თქვენი საფლავებისაგან“.¹ ნეტარნი ვართ, საყვარელნო, თუ ვასრულებდით ღვთის მცნებებს ერთსულოვანი სიყვარულით, რომ სიყვარულის მიერ მოგვეტევოს ჩვენ შეცოდებები, რადგან დაწერილია: „ნეტარნი არიან, რომლებსაც მიეტევათ უსჯულოებანი და რომლებსაც დაეფარათ ცოდვები. ნეტარია კაცი, რომლის ცოდვასაც არად მიიჩნევს ღმერთი, არც მზაკვრობა აქვს მის პირს“.² ეს ნეტარება აღსრულდა ღმრთივრჩეულებზე ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ, დიდება მისდა უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

თავი LI

ჭმრივად, რაც კი ვცოდეთ და ვქმენით მოწინააღმდეგის³ რამ მზაკვრობათა მიზეზით, ვითხოვთ, რომ მოგვეტევოს ჩვენ, ხოლო რომლებიც მოთავენი განდნენ მშფოთვარებისა და დაპირისპირებისა, მართებთ მათ განჭვრიტონ, რაც ზიარია სასოებაში, რადგან ვინც შიშითა და სიყვარულით მოღვაწეობს, უფრო ის სურს, თვით მიეცეს ტანჯვა-წამებას, ვიდრე მისი მოყვასნი. ამიტომ უმჯობესად მიიჩნევს იგი, თვით განიცადოს გმობა, ვიდრე იმ ერთხმოვანებამ, რაც კეთილად და სამართლიანად გადმოგვეცა ჩვენ, რამეთუ ადამიანთათვის ის არის კარგი, აღიაროს შეცოდებანი და არა ის, რომ გაისასტიკოს თავისი გული, როგორც გაუსასტიკდათ გული მათ, რომლენ-

1 უცნობია. ესაია 26.20; იეზ. 37.12.

2 შდრ. რომ. 4,7-8; ფს. 31,1-2.

3 *antikeimeno*~ 51.1 – ლათ. *Contrarius*, ფრანგ. *adversaire*, ძვ. ქართ. „მკვლომი“ (აღნიშნავს სატანას). ამ სიტყვის შემცველი წინადადება ციტირებულია კლიმენტი ალექსანდრიელის მიერ. იხ. *Str. IV.18*.

ბიც აუმხედრდნენ ღვთისმსახურ მოსეს და რომელთა დასჯაც ცხადად მოხდა, რადგან „ცოცხლად ჩავიდნენ ჯოჯოხეთში“¹ და „სიკვდილმა მოძოვა ისინი“.² ფარაონი, მისი ლაშქარი, ეგვიპტის ყველა წინამძღოლი, მათი ეტლები და მხედრები ჩაიძირნენ მეწამულ ზღვაში და დაიღუპნენ, არათუ სხვა რამ მიზეზის გამო, არამედ იმიტომ, რომ გასასტიკდა მათი უგულისხმო გულები მას შემდეგ, რაც სასწაულები და ნიშები მოხდა ეგვიპტეში ღვთისმსახურ მოსეს მიერ.³

ქაქი LII

ქჭირველია, ძმებო, ყოვლის მეუფე, არავისგან არაფერს ითხოვს იგი, თუ არა იმას, რომ აღმსარებელნი ვიყოთ მისდამი, რადგან რჩეული დავითი ამბობს: „აღმსარებელი⁴ ვიქნები უფლისა და ეთნევა მას ჩვილ ხბოზე მეტად, რომელსაც ეხრდება რქები და ჩლიქები, ნახონ ღარიბებმა და გაიხარონ“.⁵ და კვლავ ამბობს: „შესწირე ღმერთს მსხვერპლი ქებისა და უზღე უზენაესს შენი აღთქმანი და მიხმე მე შენი გაჭირვების დღეს და დაგიხსნი შენ და განმადიდებ მე“,⁶ რადგან „მსხვე-

1 რიცხ. 16.30.33.

2 ფს. 48.15.

3 შდრ. გამ. თ. XIV

4 სეპტუაგინტაში წმ. კლიმენტი რომაელის მიერ დამოწმებული ბერძნული სიტყვის Ἐξομολογησῶμαι -ს ნაცვლად გვაქვს $\alphaἰνεῶ$, რაც ნიშნავს „ქებას“, „დიდებას“. შესაძლებელია, რომ წმ. მამა აღნიშნული მუხლების ზეპირ ციტირებას ახდენდა.

5 ფს. 68.31-33. აღნიშნული მუხლების საეკლესიო კომენტარი გულისხმობს მაღლიერებით ღვთის განდიდებას, ღვთისადმი გულთ ალვებით დიდებისმეტყველებას.

6 ფს. 49.14-15.

პლი ღვთისადმი არის სული შემუსრვილი“.¹

თავი LIII

წადგან იცით, და კარგადაც იცით, საყვარელო, წმინდა წერილი და გულისხმა-ჰყოფთ კიდევ ღვთის სიტყვებს, ამიტომ გწერთ ამას, რომ შეგახსენოთ: როდესაც მთაზე ასულმა მოსემ ორმოცი დღე და ორმოცი ღამე გაატარა მარხვასა და სიმდაბლეში,² ღმერთმა უთხრა მას: „ჩადი აქედან მალე, რადგან რჯული დაარღვია შენმა ხალხმა, რომელიც გამოიყვანე ეგვიპტის მიწიდან, მსწრაფლ გადადრკენ იმ გზიდან, რაც ვამცნე მათ, და კერპები შექმნეს თავისთვის“.³ და თქვა უფალმა მის მიმართ: „გაუწყე შენ და ვთქვი ერთგზის და ორგზის: ვიხილე ეს ხალხი და აჰა, ურჩი ხალხია. მაცადე, მოვსპო ისინი, და აღვხოცავ მათ სახელს ცის ქვეშეთიდან, შენ კი გაქცევ დიდ და საკვირველ ხალხად, უფრო დიდად, ვიდრე ეს არის“.⁴ და უთხრა მოსემ: „არა, უფალო, მიუტევე ამ ხალხს ცოდვა, ან მეც ამომშალე ცოცხალთა წიგნიდან“.⁵ ჰოი, დიდო სიყვარულო! ჰოი, უძლეველო სრულქმნილებავ! მონა თავისუფლად ლაპარაკობს უფალთან, მიტევებას ევედრება მრავალთათვის, ან კი იმას ითხოვს, რომ თვით ისიც აღიხოცოს მათთან ერთად.

1 ფს. 50.17.

2 შდრ. II რჯ.; 9.9; გამ. 34.28.

3 II რჯ. 9.12; გამ. 32.7-8.

4 II რჯ. 9.13-14; გამ. 32.10.

5 გამ. 32.32.

ჟავი LIV

ჭმიტომ, ვინ არის თქვენ შორის კეთილშობილი, ვინ არის კეთილმოწყალე, ვინ არის სავსე სიყვარულით? თქვას მან: თუ ჩემი მიზეზით არის მშფოთვარება, განყოფა და განხეთიქლება, წავალ. გავშორდები, სადაც გნებავთ, და შევასრულებ უმრავლესობის განჩინებას, მხოლოდ კი ქრისტეს სამწყსო იყოს მშვიდობით მათზე დადგენილ ხუცეებთან ერთად. ვინც იქმს ამას, დიდ სახელს შეიძენს იგი ქრისტეს მიერ და მიიღებს მას ყველა ადგილი, რადგან „უფლის არის ქვეყანა და მისი სისავსე“.¹ ამას იქმოდნენ და კვლავაც იქმან ისინი, რომლებიც შეუნანებელი მოღვაწეობით მოღვაწეობენ.

ჟავი LV

ვარმართებისგანაც მოვიტანოთ მაგალითები: მრავალმა მეფემ და წინამძღოლმა, მინდობილმა მისნის ნათქვამს, უბედურების ჟამს სიკვდილს მისცა თავი, რომ საკუთარი სისხლით გადაერჩინა მოქალაქენი. მრავალი გაშორდა თავის ქალაქს, რომ მეტად აღარ ყოფილიყო მშფოთვარება.² მრავალნი ვიცით ჩვენ შორის, რომლებმაც ბორკილებს მისცეს თავი, რომ სხვები გამოეხსნათ. ბევრმა მიიღო მონობა და მოპოვებული საზღაურით სხვები გამოკვება. ბევრმა ქალმა, ღვთის მადლით

1 ფს. 23.1.

2 საგულისხმოა ა. ჟობერის შენიშვნა: „ყურადღებას მივაქცევ კლიმენტის აღტაცებას ნებაყოფლობითი მსხვერპლშეწირვის ამგვარი მაგალითებით წარმართთა შორის. ეს საკითხი ხშირად არის განხილული ფილოსოფოსთა და რიტორთა მიერ. იხ. მაგალითად, ციცერონი *Tusculanes*, I, 48-49; (ტ. 187, შენ. 4, გვ. 186); voir Sanders, p. 41-56. Pour les implications theologiques, *Introd.*, p. 60-61.

ძალმოსილმა, მრავალი სიმაძაძე აღასრულა. ნეტარმა ივლით-
მა, როდესაც ქალაქი ალყაში იყო, გამოითხოვა ნებართვა უხ-
უცესებისაგან, რომ უცხოტომელთა ბანაკში გადასულიყო.
საფრთხეს მისცა მან თავი და გამოვიდა (ქალაქიდან) სამშობ-
ლოსა და ალყაში მყოფი ხალხის სიყვარულის გამო, და მისცა
უფალმა ოლოფერნე ქალის ხელს.¹ არანაკლებ საფრთხეში
ჩაიგდო თავი რწმენაში სრულქმნილმა ესთერმა, რომ მოსა-
ლოდნელი განადგურებისაგან ეხსნა ისრაელის თორმეტი
ტომი, რადგან მარხვისა და სიმდაბლის გზით შესთხოვა ყოვ-
ლისმხედველ მეუფეს, საუკუნეთა ღმერთს, რომელმაც იხილა
მისი დამდაბლებული სული² და იხსნა ხალხი, რომლის გამოც
განსაცდელში ჩაიგდო მან თავი.³

თავი LVI

ჭიტიომ ვევედროთ ჩვენც მათთვის, რომლებიც რამ ცოდვა-
ში იმყოფებიან; მიეცეთ მათ სიმშვიდე და თავმდაბლობა, რომ
მორჩილნი იყვნენ ღვთის ნებისა და არა ჩვენი, რადგან მათთ-
ვის მხოლოდ ასე იქნება ნაყოფიერი და სრულყოფილი ღვთისა
და წმინდანთა წინაშე მათი თანაგრძნობით ხსენება. მივიღოთ
სწავლება. არავის მართებს განრისხება ამის გამო, საყვარელ-
ნო, რადგან სასიკეთო და უაღრესად სასარგებლოა ერთიმეო-
რის შეგონება, რადგან ღვთის ნებასთან შეგვანაწევრებს ჩვენ
იგი. ვინაიდან ასე თქვა წმინდა სიტყვამ: „სწავლით განმსწავ-

1 იგულისხმება ძველი აღთქმის ერთ-ერთ წიგნში („ივლითი“) მოთხრობილი ამბავი, როდესაც ივლითმა თავი მოჰკვეთა ოლოფერნეს (შდრ. ივლითი 8-13; 16,5-9).

2 ბერძნულში გვაქვს to:tapeion th~ yuch~ 55.6, რაც აღნიშნავს თავმდაბლობას, სულის შემუსვრილობას (შდრ. ფს. 50,17).

3 შდრ. ესთერი 4.16; 7.

ლა მე უფალმა და სიკვდილს არ მიმცა მე“.¹ რადგან „ვინც უყვარს უფალს, განსწავლის, და ტანჯავს ყოველ ძეს, ვისაც შეიწყნარებს“,² ამბობს რა ასე: „მართალი განმსწავლის მე გულმონწყალებით და მამხილებს მე, ხოლო ცოდვილთა ზეთი ნუ განაპოხებს ჩემს თავს“.³ და კვლავ ამბობს: „ნატარია ის ადამიანი, ვინც ამხილა უფალმა. ყოვლისმპყრობლის შეგონებას ნუ უკუაქცევ, რადგან იგი ტკივილს აყენებს და კვლავ აღადგენს. დასცა და მისმა ხელებმა განკურნეს. ექვსგზის დაგისხნის შენ გასაჭირთაგან, მეშვიდე კი არ შეგეხება შენ ბოროტი. სიყმილისას გამოგიხსნის სიკვდილისაგან, ომში კი განგარიდებს მახვილისაგან. ენის შოლტისაგან დაგიფარავს შენ და არ შეგაშინებს შენ მოწვენილი ბოროტებანი. გაიცინებ უსამართლოთა და უსჯულოთა გამო და გარეულ მხეცებს არ შეუშინდები, რადგან ველური ცხოველები შენს წინაშე დამშვიდდებიან. შემდეგ შეიცნობ, რომ სიმშვიდე დაისადგურებს შენს სახლში, ხოლო კარავში შენი ცხოვრების წესი არ წახდება. გულისხმაპყოფ, რომ მრავალია შენი შთამომავლობა, შენი შვილები კი – როგორც მინდვრის ბალახეული. საფლავში ჩახვალ, როგორც დროულად მომკილი მწიფე თავთავი ან როგორც კალოს ზვინი, ჟამიერად შეგროვილი“.⁴

ნახეთ, საყვარელნო, რამდენგვარია მფარველობა მათდამი, რომლებსაც მეუფე განსწავლის, რადგან არის რა კეთილი მამა, განგვსწავლის მხოლოდ იმიტომ, რომ წყალობა მივიღოთ მისი წმინდა განსწავლის გზით.

1 ფს. 117.18.

2 იგ. 3.12; ებრ. 12.6.

3 ფს. 140.5.

4 იობი 5.17-26.

თავი LVII

ჭმრივად, თქვენ, რომლებმაც საფუძველი მოუშადათ მშოთვარებას, [აწ] დამორჩილდით ხუცესებს და სინანულში განისწავლეთ თქვენი გულის მუხლთა მოდრეკით. ისწავლეთ მორჩილება და განიშორეთ თქვენი ენის ქედმაღალი და ამპარტავნული თავმოთნეობა, რადგან უძჯობესია თქვენთვის, რომ მცირენი იყოს ქრისტეს სამწყსოში, მაგრამ შერაცხილნი, ვიდრე ის, რომ აღმატებულები ჩანდეთ, მაგრამ განგდებულ იქნეთ მისი სასოებისაგან, რადგან ასე ამბობს ყოვლადსათნო სიბრძნე: „აჰა, მოვავლენ თქვენზე ჩემი მობერვის ნათქვამს, ხოლო გასწავლით თქვენ ჩემს სიტყვას. რადგანაც მოგიწოდეთ და არ ისმინეთ, გაწვდიდით სიტყვებს და ყურად არ იღებდით, არამედ აუქმებდით ჩემს რჩევებს, ხოლო ჩემს მხილებებს არ ერწმუნეთ, ამიტომ მეც გავიცინებ თქვენს დალუპვაზე, გავიხარებ კი, რაჟამს განადგურება გეწევათ ან როცა მოიწევა თქვენზე უეცრად შეჭირვება და გაცამტვერება, მსგავსი გრიგალისა, ანდა როდესაც გაჭირვებასა და მტრისგან შევიწროებულნი იქნებით, რადგან დადგება დრო, რაჟამს მომიწოდებთ, მე კი არ შევისმენ თქვენსას. მომიძიებენ უკეთურნი და ვერ მიპოვიან, რადგან მოიძულეს სიბრძნე, ხოლო არ აირჩიეს შიში უფლისა. არც ის ისურვეს, ყურად ელოთ ჩემი რჩევები, ჩემს მხილებებს კი დასცინოდნენ. ამიტომაც შეჭამენ თავიანთი გზის ნაყოფთ და თავიანთ უღვთოებაში გარდაემატებიან¹. იმის წილ, რაც მათ ავნეს ჩვილებს, ამოწყდებიან, განკითხვა უღმრთოებს მოსპობს, ხოლო ვინც ისმენს ჩემსას, გულდაჯერებით დაიკარგებს სასოებაში და უშიშრად მოისვენებს ყოველ-

1 ბერძნულში გვაქვს სიტყვები th~ eautwn aŋbebeia~ plhsqhson-tai 57.6, რაც განსაკუთრებით გამოკვეთს იმ აზრს, რომ უღმრთოებაში მყოფნი და შეუენანებლნი სულ უფრო და უფრო მეტად ჩაეფლობიან ცოდვის მწვირეში.

გვარი სიბოროტისაგან“.¹

თავი LVIII

ჭმრივად, დავემორჩილოთ მის ყოვლადწმინდა და დიდებულ სახელს, განვერიდოთ იმ მუქარას, ურჩთათვის რომ თქვა წინდაწინ სიბრძნემ, რათა „მინდობილებმა დავიკარვოთ“² მისი დიდებულების უწმინდეს სახელში. შეიწყნარეთ ჩემი რჩევა და სანანებლად არ გაგიხდებათ თქვენ იგი, რადგან ცხოველ არს ღმერთი და ცხოველ არს უფალი იესო ქრისტე და სულიწმინდა – რწმენა და იმედი რჩეულთა, რამეთუ ვინც სინანულის გარეშე, მუდმივი ღმობიერებით, თავმდაბლად აღასრულა ღვთისგან მოცემული სიმაართლენი და ბრძანებანი, იგი ცხონებულთა რიცხვს შეერაცხება და შეერთვის იესო ქრისტეს მიერ, რომლის წიაღ არის მისი დიდება უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

თავი LIX

წოლო თუ ვინმე არ ერწმუნება მისგან ჩვენ მიერ თქმულს, იცოდეს ასეთმა, რომ არამცირე ცთომასა და საფრთხეში იგდებს თავს. ჩვენ კი უდანაშაულონი ვიქნებით ამ ცოდვისაგან და, აღვაკლენთ რა ვედრებას, მხურვალე ლოცვით გამოვითხოვთ, რომ ყოვლისშემოქმედმა მთელ ქვეყანაზე შეუმუსრავად დაიცვას მის რჩეულთა აღრიცხული რიცხვი მისი საყვა-

1 იგ. 1.23-33.

2 II რჯ. 33.12.26.

რელი ძის,¹ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მიერ, რომლის მიერ სიბნელიდან სინათლისაკენ, უმეცრებიდან მისი სახელის სიდიადის შეცნობისაკენ გვიხმო მან.

ვსასობედეთ² შენს სახელს, მთელი ქმნილების პირველმშობელს,³ აგვიხილე რა თვალნი ჩვენი გულისა, რომ შეგიცნოთ შენ, მხოლო დავანებული უზენაესი უზენაესთა შორის, წმინდა წმინდათა შორის, ვინც მდაბალ-ჰყოფ ამჰარტავანთა კადნიერებას, განაქარვებ ტომთა ზრახვებს, აამაღლებ მდაბალთ და მდაბალ-ჰყოფ მაღალთ, გაამდიდრებ და გააღარიბებ, მოაკვდინებ და ცხოველ-ჰყოფ, რომელიც ხარ მხოლო კეთილმწყალობელი სულთათვის და ღმერთი ყოველი ხორცისა, უფსკრულთა მჭვრეტი და ადამიანურ საქმეთა მხედველი, საფრთხეში მყოფთა შემწე, სასოწარკვეთილთა მხსნელი, ყველა სულის შემქნელი და ზედამხედველი, ვინც განამრავლებ ხალხებს ქვეყანაზე და ვინც ყველასაგან⁴ გამოირჩიე შენი მოყვარულნი, შენი საყვარელი ძის, იესო ქრისტეს მიერ, რომლის მიერ გვასწავლე, განგვეწმინდე და ღირს-გვეყავ ჩვენ. გვეედრებით შენ, მეუფეო, რომ შემწე და მფარველი იყო ჩვენთვის, იხსნა ისინი, ვინც ჩვენ შორის გასაჭირშია, აღადგინო დაცემულნი, გამოუჩინდე შეჭირვებულთ, განკურნო უძღურნი, მოაქციო შეცთომილნი შენი ერისა, გამოზარდო მშიერნი და გამოგვისყილო ჩვენ, ბორკილდადებულნი, აღადგინო დაუძღურებულნი და ნუგეში სცე სულმოკლეებს; შეგიცნოს შენ ყველა ხალხმა, რომ ხარ შენ მხოლო ღმერთი

1 ბერძნულ ტექსტში გვაქვს *pai-*, რომელიც ნიშნავს როგორც „ყრმას“, „ბავშვს“, „შვილს“. ასევე – „მსახურს“.

2 ბერძნ. ინფინიტივი *eipizein* 59.3 – ა. ყობერის შენიშვნით, ლიტურგიკული ტექსტის ასახვა უნდა იყოს.

3 ბერძნ. *afcegono-* 59.3 – დასაბამის მომცემი, მშობელობითი სათავე, პირველმშობელი; ბოლოდან მეორე მარცვალზე მახვილი მკვლევართა გასწორებაა. სელნაწერშია *afcegono-* – დასაბამში შობილი, პირველშობილი, რაც არ შეესაბამება ღმერთს.

4 ე.ი. ყველა ხალხისაგან.

და იესო ქრისტე – შენი ძე და „ჩვენ შენი ერი და შენი სამწყვსოს ცხვრები“.¹

ქვეყნის LX

წადგან ნამოქმედართა მიერ ცხად-ჰყავ შენ სამყაროს მარადიული აღნაგობა, შენ, უფალო, ვინ სარწმუნო ხარ ყველა თაობაში, შეჰქმენი ქვეყნიერება, მსჯავრში მართალო, ძალითა და დიდმშენიერებით საკვირველო, შექმნის ჟამს ბრძენო და ქმნილთა განმტკიცების ჟამს გულისხმიერო, კეთილო ხილულთა შორის და საწაადელო² მათთვის, ვინც შენ გერწმუნა; გულმოწყალო და ღმობიერო, მოგვიტევე ჩვენი ურჯულობანი, უსამართლოებანი, შეცოდებანი და ცთომილებანი. ნუ მოიხსენებ შენს მონათა და მსახურთა რაიმე ცოდვას, არამედ განგვწმინდე ჩვენ შენი ჭეშმარიტებისმიერი განწმენდით და სწორედ წარმართე ჩვენი სვლანი, რომ გულის სიწმინდით ვვლოთ და აღვასრულოთ ის, რაც სათნოა და მშენიერი შენს წინაშე, ჩვენს მთავრთა წინაშე. ჰოი, მეუფეო, გამოაჩინე შენი პირისახე ჩვენზე სასიკეთოდ მშვიდობაში, რომ დაგვიფაროს ცოდვისაგან. გვიხსენი ჩვენ უსამართლოდ მოძულეთაგან. მოგვეცი ჩვენ და ყველას, ვინც ქვეყნად მკვიდრობს, ვინც დაემორჩილა შენს ყოვლისმპყრობელ და ყოვლადსათნო სახელს, აგრეთვე – ჩვენს მთავრებსა და მეწინამძღვრეებს, ერთსულოვნება და მშვიდობა, როგორც მიეცი ეს ჩვენს მამებს, რომლებიც წმინდად მოგიხმობდნენ რწმენითა და ჭეშმარიტებით.

1 ფს. 78.13.

2 აღნიშნული სიტყვის შესატყვისად ბერძნულში გვაქვს *crhstos*-60.1, რაც ითარგმნება როგორც „სასარგებლო“, „კეთილი“, „ტკბილი“, „სასურველი“, „საწაადელი“. ჩვენ, კონტექსტის გათვალისწინებით, უპირატესობა მივიანიჭეთ სიტყვა „საწაადელს“.

ქაღალდი LXI

შენ ხარ, მეუფეო, ვინც მოუბოძე მათ ძალაუფლება მეფობისა შენი დიდმშვენიერი და გამოუთქმელი ძლიერებით. ამიტომ, ჩვენ რაჟამს შევიცნობთ მათთვის შენ მიერ მიცემულ დიდებას და პატივს, ვემორჩილებით მათ, რადგან არანაირად არ ვეწინააღმდეგებით შენს ნებას. მიეც მათ, უფალო, სიმრთელე, მშვიდობა, ერთსულოვნება და სიმყარე, რომ უცთომელად განაგონ შენ მიერ მათთვის ბოძებული წინამძღოლობა. რადგან შენ, ზეციერო ხელმწიფეო, საუკუნეთა მეუფეო, შენ, ვინც მიეცი ადამიანთა ძეგს დიდება, პატივი და ძალაუფლება ამქვეყნიურ საქმეებზე, შენ, უფალო, სწორად წარმართე მათი ნება, როგორც ეს მშვენიერი და სათნო იქნება შენ წინაშე, რომ მშვიდობითა და უღრტვინველობით, კეთილმორწმუნედ განაგონ მათ შენ მიერ მათთვის მიცემული ძალაუფლება და მოიპოვონ შენი წყალობა. მხოლოდ შენ ძალგძის ამგვართა და კიდევ უმეტეს სიკეთეთა აღსრულება ჩვენ შორის; შენ გადიდებ ჩვენი სულების მფარველისა და მღვდელმთავრის, იესო ქრისტეს მიერ, რომლის წიად დიდება და დიდებულება შენდა, ამჟამადაც, თაობიდან თაობაშიც და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ქაღალდი LXII

ძმის შესახებ, რაც შეჰფერის ჩვენს მსახურებას და რაც უმეტესად სასარგებლოა მათთვის, რომლებსაც სურთ, რომ კეთილმორწმუნედ და სიმართლით წარემართონ სათნოებითი ცხოვრებისაკენ, საკმარისად მოგწერეთ თქვენ, კაცნო ძმანო, რადგან რწმენის, სინანულის, წრფელი სიყვარულის, თავშეკავების, გონიერებისა და მოთმინების შესახებ ყველა მხ-

არეს შევეხეთ, შეგახსენეთ რა, რომ გმართებთ თქვენ სამართლიანობით, ჭეშმარიტებითა და სულგრძელებით წმინდად სათნო-ეყოთ ყოვლისმპყრობელ ღმერთს, ძვირუხსენებელად ერთსულოვანნი იყოთ სიყვარულით, მშვიდობითა და გულითადი ღმობიერებით, მსგავსად ზემოდამოწმებული ჩვენი მამებისა, რომლებიც თავმდაბლობის მიერ სათნო-ეყვნენ მამას, — ღმერთსა და შემოქმედს, აგრეთვე, ყველა ადამიანს. ყოველივე ამას წადიერად შეგახსენებთ, რადგან კარგად ვიცით, რომ გწერთ პიროვნებებს, რომლებიც სარწმუნონი და უმეტესად შერაცხილნი ხართ, აგრეთვე — ღვთისმიერი მოძღვრების სიტყვებს ჩაკვირებულნი.

თავი LXIII

ჭმრივად, გგმართებს, რომ ამგვარ და ეგზომ მაგალითებს მივუახლოვდეთ, მოვიდრიკოთ ქედი და მორჩილების ადგილი დავეიმკვიდროთ, რომ დავცხრეთ ფუჭი მშფოთვარებისაგან და ყოველგვარი ბიწის გარეშე მივალწიოთ ჩვენ წინაშე ჭეშმარიტებით დასახულ მიზანს, რადგან სინარულსა და მხიარულებას მოგვანიჭებს ჩვენ, თუკი დაემორჩილებით მას, რაც სულიწმინდის მიერ თქვენთვის დაგწერეთ და თუ მოიკვეთთ თქვენი შურის უჯერო რისხვას თანახმად იმ თხოვნისა მშვიდობისა და ერთსულოვნების შესახებ, რითაც მოგმართეთ ამ ეპისტოლეში. ხოლო გამოვგზავნეთ სარწმუნო და გონიერი კაცები, რომლებიც სიყრმიდან მოხუცებულობამდე უმწიკვლოდ ცხოვრობენ ჩვენ შორის და რომლებიც მოწმენიც იქნებიან თქვენსა და ჩვენ შორის. ხოლო ეს იმიტომ ვქმენით, რომ იცოდეთ: მთელი ჩვენი საზრუნავი იყო და არის თქვენი დაუყოვნებლივ დამშვიდება.

ქაჟი LXIV

ღაბოლოს, ყოვლისმხედველმა ღმერთმა, სულთა მეუფემ და ყოველი ხორცის უფალმა, რომელმაც გამოირჩია უფალი იესო ქრისტე და მის მიერ ჩვენ — სახეპურო ერად, მისცეს ყოველ სულს, ვინც მოუხმობს მის ღიდმშვენიერ და წმინდა სახელს, რწმენა, შიში, მშვიდობა, მოთმინება, სულგრძელება, თავშეკავება, სიწმინდე და გონიერება მისი სახელის სათნოყოფად, ჩვენი მღვდელმთავრისა და შუამდგომელის, იესო ქრისტეს მიერ, რომლის მიერაც ღიდება და ღიდებულება, ძლიერება და პატივი მისდა აწ და ყოვლადვე უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

ქაჟი LXV

წვენგან გამოგზავნილი კლავდიოს ეფებოსი და ვალერიოს ბიტონი ფორტუნატესთან ერთად სასწრაფოდ უკან გამოგზავნეთ ჩვენთან სიხარულითა და მშვიდობით, რომ უმაღ შეგვატყობინონ ჩვენთვის საწადელი და სასურველი მშვიდობა და ერთსულოვნება, რათა ჩვენც მალე გავიხაროთ თქვენი კეთილსიმშვიდით. ჩვენი უფლის — იესო ქრისტეს მაღლი იყოს თქვენთან და ყველგან ყველასთან, ვინც კი მოწოდებულია ღვთისაგან მის მიერ, რომლის მიერ ღიდება, პატივი, ძალაუფლება, ღიდებულება და საუკუნო საყდარი მას, საუკუნითგან და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

უკუეთუ გონებაჲ, რომელი-იგი მთავარი არს კაცთა შორის, მარადის მაღალთა მათ საქმეთა და ხედვათა შინა იქცეოდის, შემწე-ეყოფის მას ღმერთი და სძლევს მტერსა. უკუეთუ კულა მდაბალთა ამათ და უნდოთა საქმეთა მიმართ დამდაბლდეს, იძლევის მტერთა მიერ, რაჟამს არღა სულისაებრ, არამედ წიგნისაებრ გულისკმა-ჰყოფდეს შჯულსა.

**წმ. გრიგოლ ნოსელი, მოსეს ცხოვრება
(წმ. ექვთიმე ათონელის თარგმანი, p3, 372)**

აწ უკუე, რომელი სოფელსა ამას შინა ვიდოდეს უც-თომელად, მან წარვლოს კეთილი ესე სათნოებისა გზაჲ სამეუფოჲ და არა მიდრკებოდის ამიერ, გინა იმიერ გზისა მისგან სათნოებისა.

იქვე (393)

თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის
გამომცემლობა

2015

კომპიუტერული უზრუნველყოფა და ტექნიკური რედაქტორი
შორენა ფარქოსაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, სიონის ქ. №13/40

E-mail: gamomcemloba@mail.ru

Address of editorial Board:
13/40, SIONI STR. TBILISI

**დაიბეჭდა გამომცემლობა „მერიდიანში“
თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E-mail: meridian@777gmail.com**